ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 20 თებერვალი, 2023 №35 (9071) ფასი: 80 თეთრი

## რა მოხდა ყაზბეგის გამზირზე და ვინ დაემუქრა პატრულს



გვ.5

# „ნაციონალებს სააკაშვილი არ აინტერესებთ, ბრძოლა პარტიის ბუღალტერიისთვის მიდის“






გვ.2

პაატა დავითაია: „ივანიშვილის სანქცირების თემას ვერ ვხედავ ერთი წლის განმავლობაში“





გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე მსოფლიოს ბედი თუ არა, რეგიონის ბედი ნამდვილად წყდება. ამ დროს ამერიკის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“

## „ამერიკა მხარს საქართველოს მოსახლეობას უჭერს და არა „ოცნებას“ ან სხვა პარტიას“

## „ნაცმოძრაობის სამართლებრივი შეფასების საკითხი უნდა დადგეს“



გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „საზოგადოებას არ უნდა დარჩეს განცდა, რომ ხელისუფლებისთვის ევროსტრუქტურები მიუწვდომელია. საელჩოებია გასააქტიურებელი“

ვატო სურგულაძე: „დეფიციტშია ხარისხიანი მედიკამენტები და მალე „შავი“ ბაზარიც აღორძინდება“

გვ.2



## რატომ გაქრა ინსულინი სააფთიაქო ქსელიდან?

ირაკლი ღარიბაშვილი: „ერთადერთი მშვიდობიანი პერიოდია ჩვენს არსებობაში... ომით ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერც კეთილდღეობას და ვერც სტაბილურობას“

გვ.4



ამზადებდნენ ყალბ 100-ლარიანებს, ამოღებულია 11.800 ლარი გვ.5



## „რუსეთი არის სახელმწიფო გაურკვეველი მომავლით, გაურკვეველი საზღვრებით და გაურკვეველი სტატუსით“

„ვინ უნდა გაიწვიონ რუსებმა? გვ.4

1993230720223

**5** დააკავეს 3 პირი, რომლებიც ტურისტული კომპანიიდან საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში უკანონოდ უშვებდნენ

**7** ესპანეთი-საქართველო 3:41

**5** რუსთავში შვილმა დედას სცემა და მოკვლით დაემუქრა

**6** რა დაგეგმა პუტინმა

# რატომ გაქრა ინსულინი სააფთიაქო ქსელიდან?

## ვატო სურგულაძე: „დეფიციტშია ხარისხიანი მედიკამენტები და მალე „შავი“ ბაზარიც აღორძინდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.



***– ბატონო ვატო, პრემიერ-მინისტრისგან ვისმენთ განცხადებებს, რომ ზედა ზღვარის დაწესების შემდეგ, მედიკამენტები კიდევ უფრო მეტად გაიაფდებაო. თუმცა მოსახლეობაში სრულიად სხვა განწყობებია. რას გვეტყვით თქვენ?***

– პრემიერ-მინისტრი იმასაც გვპირდებოდა, თურქეთიდან წამლები რომ შემოვიდოდა, გაიაფდებოდა. თუმცა, რომ გითხრათ, ძალიან გაიაფდა და ამის დასაბუთება არსებობს, არ არსებობს. როდესაც ჩვენმა ე. წ. ჯანდაცვის მინისტრმა გამოაცხადა, რომ 6 თვეში 80 მილიონი დავზოგეთო, მე გავუგზავნე სადეპუტატო შეკითხვა – რის საფუძველზე 80 მილიონი? რა კვლევები ჩაატარეს? რაზეც პასუხი ვერ მომივიდა, არავითარი კვლევები არ ჩატარებულა და საიდან აიღეს ეს მონაცემები, არავინ არ იცის. იგივე ეხება ამ ზედა ზღვარს. ჩვენნაირი დონის ქვეყნებში, ამ ზედა ზღვარის შემოღებამ, არსად არ გამოიწვია დადებითი ეფექტი, ის რასაც ელოდნენ. პირიქით, გაქრა ე. წ. ბრენდული მედიკამენტები, რეალურად ხარისხიანი მედიკამენტები. ჩვენთან ძალიან კარგი წარმომადგენლობებია და შესაძლოა, ისინი დაიხურონ და წავიდნენ და მერე მათი უკან შემობრუნება ძალიან რთული იქნება.

***– ანუ არ უნდა დაუწესონ ზედა ზღვარი? ამის თქმა გინდათ?***

– საერთოდ ზედა ზღვარის დაწესება ჩვენნაირ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური ვალუტაა, ჩვენი ლარი არ არის სტაბილური, როდის რა კურსია, ვერ გაიგებ. აქ ზედა ზღვარის შემოღება ვერ გამოიღებს იმ შედეგს, რაც გერმანიაშია. გერმანიაში თუ ზედა ზღვარი არსებობს, იქ მედიკამენტების ფასის 87%-ს იხდის სადაზღვევო სისტემა. ჩვენ ხომ ამის საშუალება არა გვაქვს?! ეს გამოიწვევს ისევ და ისევ ჩემოდნებით ჩუმად შემოტანას მედიკამენტების, გამოიწვევს შავი ბაზრის აღორძინებას. ჩვენ იმის საშუალებაც კი არა გვაქვს, რომ მედიკამენტის ხარისხი შევამოწმოთ და, საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ?!

***– მოსახლეობა უკვე ჩივის, რომ დეფიციტშია ხარისხიანი წამალი.***

– დიახ, ასეა. ბევრი კარგი მედიკამენტი უკვე სერიოზული პრობლემა გახდა. ეს არის სუფთა პოპულისტური გადაწყვეტილება. არავითარი გათვლები, არავითარი პერსპექტივაში ხედვა, მოლდოვის და სხვა ჩვენნაირი ქვეყნების გამოცდილება. ხარისხიან მედიკამენტს რომ ვამბობთ, თავისთავად ესეც ხომ სისულელეა! როგორ შეიძლება მედიკამენტი იყოს უხარისხო, მაგრამ იგივე გერმანიასა და ევროპის ქვეყნებში, ინდური მედიკამენტები და მსგავსი გაუგებარი წარმოშობის, არ შედის! ხარისხსაც ვერ ვამოწმებთ, არა გვაქვს ამის საშუალება, მარტო ქაღალდებით და დოკუმენტებით გავცემთ შესაბამისს ნებართვებს. სწორედ ამიტომაც, ვიმეორებ, გაჩნდება შავი ბაზარი.

***– ბატონო ვატო, მედიკამენტებზე ვსაუბრობთ და რატომ გაქრა ინსულინი სააფთიაქო ქსელიდან?***

– რა ხდება და ამ უტვინოებმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დროულად ვერ ჩაატარეს ტენდერი, რაოდენობა არ დარჩა შესაბამისი, ინსულინს ისედაც საბუთით და შეზღუდული რაოდენობით აძლევენ. ისიც კი ვერ გათვალეს, როდის გამოეცხადებინათ ტენდერი. მეც ვიყავი მინისტრის მოადგილე და მე რომ ასეთი რაღაც გამეკეთებინა, დამხვრეტდნენ. ხომ უნდა ნახო, რა მარაგები გაქვს, რამდენ ხანს გეყოფა და ისე გამოაცხადო ტენდერი, რომ ჩავარდნა არ მოხდეს. ამდენი ადამიანის სიცოცხლე ჩავარდა საფრთხეში. ინსულინი ისეთი რაღაცაა, რომ არ გაიკეთო, არაფრით არ შეიძლება. ახლა კიდევ რას შემოიტანენ, როგორი ხარისხისას, ეს კიდევ სხვა საკითხია. რეფერარულ ფასებზე საუბრობენ და არ ხვდებიან თვითონ ინდუსტრიას, ანუ მას, ვისაც შემოაქვს მედიკამენტები. სულ სამი-ოთხი დიდი კომპანიაა, რომელიც საქართველოში მუშაობს. პირველ რიგში, იმათ უნდა შეხვდნენ და იმათთან ერთად გააკეთონ თუ რამეს აკეთებენ. მათ კი საერთოდ არაფერს არ ეკითხებიან. ასე არ შეიძლება, თუ მომწოდებელს არ ჰკითხე, იმასთან ერთად თუ არ მიიღე გადაწყვეტილება, იმათი რისკები არ დაინახე, ძალიან სერიოზული პრობლემები შეიქმნება. გამოდიან და პოპულისტურად გაჰყვირიან, ნახავთ, მედიკამენტების ფასები როგორ დაიწევსო. გააჩნია, რა მედიკამენტები დარჩება, რამდენით დაიწევს და კიდევ რამდენი მედიკამენტი გაქრება ბაზრიდან.

***– რას იტყვით ვირუსებთან დაკავშირებით? საუბარია, რომ კოვიდის ახალი შტამი დომინირებს. ამ მხრივ რა ხდება?***

– ეს ახალი შტამი არ არის ისეთი მომაკვდინებელი და ისეთი რთული. პრაქტიკულად, გრიპი გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე ეს კრაკენის შტამი. თუმცა ყურადღება მაინც აუცილებელია. კრაკენის საწინააღმდეგო ვაქცინები ჩვენთან არ არის შემოსული. ის ვაქცინები, რაც გვაქვს, ისე ეფექტურად ვერ მუშაობს. ამის პროპაგანდა პრაქტიკულად არ ხდება და ან რატომ მოხდება, როცა პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია იმაში, რომ ვაქცინები არაფერს არ შველის. ამ ვირუსით დაინფიცირების რაოდენობა საკმაოდ იზრდება და თებერვლის ბოლოს და მარტის შუა რიცხვებამდე საგრძნობლად მოიმატებს. საერთოდ არაფერი არ იწერება, ინფორმაცია არა გვაქვს. რომ შეხვიდეთ დაავადებათა კონტროლის ვებგვერდზე, ინფორმაცია არ დევს. აღარც აღრიცხვა მიმდინარეობს, აღარც ტესტირება ხდება. შესაბამისად, რა ხდება ამ ვირუსის ირგვლივ, მე კი არა, ჯანდაცვის სამინისტროს არ აქვს რეალური სურათი და ინფორმაცია, თუ რა ხდება ქვეყანაში.

# „ნაციონალებს სააკაშვილი არ აინტერესებთ, ბრძოლა პარტიის ბუღალტერიისთვის მიდის“

## პაატა დავითაია: „ივანიშვილის სანქცირების თემას ვერ ვხედავ ერთი წლის განმავლობაში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს როგორც საგარეო, ისე საშინაო კუთხით. ოკუპირებული ტერიტორიების თემით რომ დავიწყოთ, აფხაზეთის, ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლები მოსკოვში იმყოფებიან. რას ამზადებს პუტინი?***

– პირველი, რაც მინდა ვთქვა, განიხილება ანექსიის ვარიაცია. ეს არის ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა. ბელორუსია, რუსეთი, აფხაზეთი და ცხინვალი. საუბარია დნესტრისპირეთის აღიარებაზე და ამის შემდეგ მიერთებაზე. ეს ვარიაციები განიხილება ძალიან სერიოზულ დონეზე. ჩემთვის ეს ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2011 წელს ეს მომიყვა ლუკაშენკომ პირად საუბარში. ერთი ერთზე შეხვედრისას მომიყვა, რომ პუტინი სთავაზობდა მას ასეთი კავშირის გაკეთებას. პუტინი იქნებოდა პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ლუკაშენკო, რაზეც ლუკაშენკომ მითხრა, რომ უარი ვუთხარიო.

***– ახლა რა შეიცვალა?***

– თუმცა დღეს, უკრაინის ომის ფონზე, ჩვენ ვხედავთ, რას აკეთებს ლუკაშენკო, სოხუმშიც კი ჩავიდა. ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინაში რუსეთი განიცდის მარცხს და ახლა მათ სჭირდებათ რაღაც ახალი სტრატეგიები და ამიტომ ერთ-ერთ ვარიაციად დაიწყეს ამის აგორება. ცხინვალში არანაირი პრობლემა არა აქვს რუსეთს, 8 ათასი ოსი ცხოვრობს და 12 ათასი რუსი ჯარისკაცის სამხედრო ბაზაა. ამიტომ იქ მიერთების პრობლემა არაა. აფხაზეთში კი მოსახლეობა ამას წინააღმდეგობას უწევს. მათ რატომღაც წარმოუდგენიათ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა აფხაზეთი. ამიტომ აფხაზების თავმოყვარეობა რომ არ შელახოს, შესთავაზეს ასეთი ვარიაცია. თუმცა აქ საინტერესო ის არის, რომ თვითონ აფხაზებმა ამ იდეის წინააღმდეგ გამოსვლა დაიწყეს. ესეც კი არ უნდათ. შეიძლება წინააღმდეგი წავიდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ იზამენ. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პუტინი. ეს ბოლო შეტევა, რაც დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ, ბახმუტის მიმართულებით, იქ მარცხს განიცდის. ომის წლისთავზე კი მას რაღაცა გამარჯვების გაფორმება სჭირდება.

***– ამ დროს რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება? არ უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერზე რეაგირება?***

– ყველაზე სწრაფი ნაბიჯი, რაც ახლაა გასაკეთებელი, არის ის, რომ გაგლოევი და ბჟანია იყოს ძებნილები. ინტერპოლის ძებნილებმა უნდა მოაწერონ ხელი „ახალი სახელმწიფოს“ შექმნას და კრიმინალმა პუტინმა, რომელიც სანქცირებულია ყველა მიმართულებიდან. ამიტომ კრიმინალური შეერთება უნდა მოხდეს იქ. ეს კი უნდა დაფიქსირდეს. თორემ მომავალში გამოვა, რომ ბჟანია და გაგლოევი, საქართველოს ტერიტორიების მიმთვისებლები, საქართველომ სამართლებრივად არ დასაჯა, ძებნაშიც არ გამოაცხადა, ესენიც ადგნენ და სხვა სახელმწიფო შექმნეს. მომავალში კითხვები შეიძლება დაიბადოს ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით ამ ე. წ. ახალი სახელმწიფოს შექმნის. ამიტომაა პრინციპულად მნიშვნელოვანი ამის გაკეთება! ჩვენგან რა მიდის? 20– თეთრიანი კალამი და 10-თეთრიანი ფურცელი. მეილი უფასოა. გადაგზავნა ძებნის გამოცხადება.

***– არის ამაზე წამსვლელი ჩვენი ხელისუფლება?***

– თუ არ წავლენ, პასუხი მოეთხოვებათ! თუ ეს საკითხი დადგა და ასეთი ვითარება შეიქმნა, არავინ არ აპატიებს ანექსიის მშვიდად გაფორმებას. შეიძლება დღეს ხელისუფალი იყო, მაგრამ ხვალ ამაზე პასუხი მოგეთხოვება.

***– ზოგადად ხელისუფლების პოზიციაზე რას იტყვით? სერიოზული აგრესია მიდის დასავლეთის მიმართ. ეს ქვეყანას არ დააზარალებს?***

– ყოვლად მიუღებელია ეს ყველაფერი. ამ რამდენიმე დღის წინ, ვიზიტი მქონდა ბრიუსელში. ევროკომისიაში, ევროკავშირში, ნატოს გენერალურ სამდივნოში. კატასტროფული სიტუაციაა, პირდაპირ გეტყვით. დათრგუნული ვიყავი, ძალიან ცუდი განწყობებია ჩვენ მიმართ. სვამენ კითხვას, სად არის საქართველო?! ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იყოთ ჩვენთან და თქვენ სად გინდათ, რომ იყოთ?! ფაქტიურად ის 12 პუნქტი, რომელიც მოგვთხოვეს, ძალიან მარტივი გასაკეთებელია, თუმცა არაფერი არ სრულდება. ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ!



**ევროპა გვეკითხება: სად არის საქართველო?! ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იყოთ ჩვენთან და თქვენ სად გინდათ, რომ იყოთ?!**

***– თუ არ მოგვცემენ სტატუსს, თავისთვის დაიტოვონო. ულტიმატუმს რატომ გვიყენებენო.***

– აბსოლუტური კატასტროფაა ასეთი განცხადებები. მე პირდაპირ ვეუბნებოდი, ევროკავშირში ვისაც ვხვდებოდი, რომ თქვენ მოგწონთ „ოცნება“ თუ არ მოგწონთ, ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს! ენ-დი-აის კვლევამ აჩვენა, რომ ევროინტეგრაციას 80% უჭერს მხარს. ხოლო თქვენ თუ არ მოგვცემთ კანდიდატის სტატუსს, თქვენ დაკარგავთ ბერკეტებს ხელისუფლებაზე. ხელისუფლება იქნება ბედნიერი და თავისუფალ მიმოსვლაში. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას აწყობს, რომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რადგან ეს არის პასუხისმგებლობა, ვალდებულება, დემოკრატია და ბევრი სხვა რამ. ესენი არ ასრულებენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ არ აიღონ ეს ვალდებულებები. შემდეგ დააბრალონ ევროკავშირს, რაც სრული აბსურდია და არ გამოვა.

***– ოპოზიციაც რომ ძალიან სუსტი გვყავს? მთავარ ოპოზიციად წოდებული პარტია რა დღეშიც არის, კი ვხედავთ. ან ეს ვითომ აქციები შეცვლის რამეს?***

– პირდაპირ გეტყვით, ამ პარტიაში ბრძოლა მიდის ბუღალტერიისთვის და არა ხელისუფლების შეცვლისთვის. მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა ბუღალტერიისთვის. ვინ იქნება პარტიის ბუღალტერიასთან ახლოს.

***– მათი აქციები გამოიღებს რაიმე შედეგს?***

– არასწორი გზით მიდიან, გინდ ხაბეიშვილი იყოს ლიდერი, გინდ მერაბიშვილი, ვინც გინდა ის. თავის ქმედებით, პირიქით, აძლიერებენ „ქართულ ოცნებას“. აქ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება.

***– უკვე ბევრისგან მოვისმინე ეს შეფასება, რომ სწორედ „ოცნების“ წისქვილზე ასხამენ წყალს.***

– დიახ, ზუსტად ასეა. ამიტომაც გითხარით, რომ მათ ხელისუფლების ცვლილება სულ არ აინტერესებთ. ბრძოლა მიდის ბუღალტერიისთვის.

***– ანუ სააკაშვილიც ნაკლებად აღელვებთ?***

– ვის რაში აინტერესებს სააკაშვილი. ინსტრუმენტად იყენებენ. მართლა მეცოდება. ეს ყველაფერი მე სააკაშვილს პირდაპირ ვუწინასწარმეტყველე, მაგრამ რა ვქნათ, არ დაიჯერა.

***– არის მისი გაშვების შანსი?***

– ხომ ვხედავთ, ევროპელები რა კატეგორიულად მოითხოვენ. ჩვენი დავალება 12 პუნქტი კი არა, უკვე 13 პუნქტია რეალურად. მიშას საკითხი დაემატა ცალკე პუნქტად. მე სადაც ვიყავი შეხვედრებზე, ყველა მიშას საკითხს აყენებს. განა იმიტომ, რომ მიშა მოსწონთ ან არ მოსწონთ, არა, უბრალოდ, ჰუმანური აქციაა. ისინი ასე უყურებენ საკითხს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იყო, რეფორმატორის სახელი ჰქონდა, ახლა უყურებენ, რომ მაისური აიწია და ნეკნები უჩანს. ამით მორჩა! პიარი მოიგო სააკაშვილმა. თუ ვინმე შველის თავის თავს, შველის სააკაშვილი. აქ არანაირი პოლიტიკური სეგმენტი არ დგას, მხოლოდ ადამიანური, ითხოვენ ჰუმანურობის გამოჩენას „ოცნების“ ხელისუფლებისგან.

***– ამ სიტუაციაში რამდენად არის საფრთხე ივანიშვილის დასანქცირების?***

– პირდაპირ გეუბნებით, რომ ივანიშვილის სანქცირების თემას ვერ ვხედავ ერთი წლის განმავლობაში. რეალურად ჯერ კიდევ იმედს იტოვებს ევროკავშირი. ახლა, აპრილში იქნება ანგარიში, მერე ოქტომბერსა და დეკემბერში საბოლოოდ გადაწყდება, რა სიტუაცია გვექნება. ევროპარლამენტის პოლიტიკური ფრთა სანქციებს კი ითხოვს, მაგრამ აღმასრულებელი ამას არ აკეთებს. მე ვფიქრობ, რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება დეკემბრისათვის, წლის ბოლოს. აი მერე უკვე იმ დროიდან შეიძლება სანქციებზე საუბარი. მანამდე თავს შეიკავებენ. აქ საუბარია პოლიტიკურ სანქციებზე.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამერიკა მხარს საქართველოს მოსახლეობას უჭერს და არა „ოცნებას“ ან სხვა პარტიას“

## ლევან ალაფიშვილი: „რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე მსოფლიოს ბედი თუ არა, რეგიონის ბედი ნამდვილად წყდება. ამ დროს ამერიკის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“



ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, ამერიკელი სენატორების დელეგაციის ვიზიტი საქართველოსა და რუმინეთში რა გზავნილი შეიძლება იყოს? სენატორები შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე აკეთებენ აქცენტს.***

– რა თქმა უნდა, შავი ზღვის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, ურთიერთობები. დელეგაციის ხელმძღვანელი, სენატორი ჯინ შაჰინი ამბობს, რომ პუტინი უკვე მოქმედებს რეგიონში თავისი მავნე გავლენის გასავრცელებლად. ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, დღეს, უკრაინის ომის ფონზე, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონში. ამიტომ სრულიად მოსალოდნელი და ახსნადია მათი ასეთი ყურადღება და მაღალი დონის დელეგაციის ვიზიტიც.

სენატორ შაჰინის ვიზიტი, რომელიც ამერიკის კონგრესში საგარეო მიმართულებას განაგებს და ხელმძღვანელობს, დღეს, ჩვენი ქვეყნისთვის, მე ვიტყოდი, ზოგადად რეგიონისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რადგან, შეიძლება ითქვას, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მსოფლიოს ბედი თუ არა, რეგიონის ბედი ნამდვილად წყდება. ამ დროს ამერიკის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

***– სწორედ ჯინ შაჰინმა განაცხადა, რომ საქართველოს წინ მნიშვნელოვანი არჩევნები ელოდება. ის დემოკრატიის წინსვლის აუცილებლობაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ამაზე აქცენტი რას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამერიკა გამადიდებელი შუშით დააკვირდება არჩევნებს, მთელ პროცესს?***

– რასაკვირველია. თუმცა, აქ უნდა ვთქვა, რომ არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის, დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული ღირებულებების ერთგული იყოს ის სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიული ოჯახის წევრობა უნდა. ამერიკა, რა თქმა უნდა, თავის სტრატეგიულ პარტნიორს დემოკრატიის განვითარებას მოსთხოვს და მასზე გააკეთებს აქცენტს. ეს სრულიად ბუნებრივია და ეს არ უნდა იყოს მოულოდნელი ხელისუფლებისთვის.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ეს არის ამერიკის საელჩოსა თუ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო განცხადებების მიზანი. როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი გეუბნება, კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში დაინიცირდა, არ არის ამერიკული კანონის ანალოგი, მიუხედავად იმისა, რომ დაჟინებით ამტკიცებ, არამედ გეუბნება რუსული ანალოგია, სხვა რა უნდა თქვა, თუ არა ის, რომ ამერიკა საქართველოსგან დემოკრატიის წინსვლასა და განვითარებას ითხოვს.

დემოკრატია ფასდება მთელი საარჩევნო ციკლის მანძილზე და არა ერთ რომელიმე კონკრეტულ დღეს, ის დღე თუნდაც არჩევნების დღე იყოს.

***– სენატორები ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც გამართავენ შეხვედრებს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს განხილვის საგანი დახურულ კარს მიღმა? რაზე გაკეთდება აქცენტი?***

– ამერიკის საელჩოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო განცხადებების ფონზე, არა მგონია ქება-დიდებისა და მოწონების ადრესატები იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. არა მგონია მათ მადლობები და მოწონებები დაიმსახურონ სენატორებისგან. ალბათ იქნება კრიტიკული საუბრებიც უფრო დახურულ კარს მიღმა. საჯაროდ კი ექნებათ გასაგები გზავნილები, რომ შეუქცევადი დემოკრატიული პროცესის გარეშე შორს ვერ წავალთ. რას გაითვალისწინებს და რას მიიღებს „ქართული ოცნება“, აქედან ვერ გეტყვით, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენს ხელისუფლებას თავზე ხელს გადაუსვამენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ განუცხადებია, რომ ამერიკის ურყევი და ერთგული პარტნიორი არის არა რომელიღაც კონკრეტული ხელისუფალი, არამედ ქართველი ხალხი. ამერიკა კონკრეტულად მხარს უჭერს არა „ქართულ ოცნებას“ ან ნაციონალურ მოძრაობას, ან კიდევ ვინმე სხვას, არამედ საქართველოს მოქალაქეებს, მათ არჩევანსა და მათ ნებას. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

***– ხელისუფლებასთან შეხვედრაზე შეიძლება სააკაშვილის საკითხი იყოს განხილული?***

– ყველა ის საკითხი იქნება განხილული, რაც დღეს ქართველ ხალხს აწუხებს და, რომელსაც ხელისუფლება უგულებელყოფს. სხვათა შორის, იგივეს თქმა შემიძლია ოპოზიციაზეც. როგორც ვიცით, ოპოზიციის ლიდერებსაც შეხვდებიან ამერიკელი სტუმრები. ოპოზიციასთანაც იქნება იმ წუხილებზე საუბარი, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეებს აწუხებთ, მაგრამ ამ წუხილებს არც ოპოზიცია არაფრად აგდებს.



# „ნაცმოძრაობის სამართლებრივი შეფასების საკითხი უნდა დადგეს“

## დათო ლორთქიფანიძე: „საზოგადოებას არ უნდა დარჩეს განცდა, რომ ხელისუფლებისთვის ევროსტრუქტურები მიუწვდომელია. საელჩოებია გასააქტიურებელი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

***– ბატონო დათო, როგორ აფასებთ ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუციას, რომელშიც სააკაშვილის ციხეში ყოფნა, ივანიშვილის პირად ვენდეტადაა ფორმულირებული?***

– აღნიშნული რეზოლუცია უსამართლოა და ქართველი საზოგადოებისაგან (დიდი უმრავლესობისაგან) პატივისცემას არ იმსახურებს.

***– რა გაგებით?***

– იმ გაგებით, რომ ევროპარლამენტში 705 დეპუტატიდან სახალხო პარტია, კონსერვატორები და რეფორმატორთა კავშირი უმრავლესობას წარმოადგენენ. ამიტომ მათ მიერ რეზოლუციაში შეტანილი ცვლილებები, მოულოდნელი არ არის.

***– ამ რეზოლუციას ხმა მისცა 577-მა დეპუტატმა (რაც 80%-ზე მეტია) და სააკაშვილის საზღვარგარეთ გაშვება მოითხოვა, რაც ცოტა არ არის.***

– ევროპის სახალხო პარტია ნაცმოძრაობის დედა პარტიაა. მათ გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ. პარლამენტი პოლიტიკური ორგანოა და მათი გადაწყვეტილებებიც სუფთა პოლიტიკური მდგენელის მატარებელია. ამიტომ ისინი მათთვის საჭირო გადაწყვეტილებების სურვილებიდან ამოდიან.

ევროპარლამენტი მთავარი ორგანო არ არის. მთავარი ევროკომისიისა და ევროკავშირის ქვეყნების მეთაურების პოზიციაა. მსგავსი რეზოლუცია მათ აქამდე ორჯერ მიიღეს. საბოლოო ჯამში, ევროკომისიამ და ევროკავშირის ქვეყნებმა არ გაიზიარეს. ამ რეზოლუციასაც ანალოგიური მომავალი ელოდება.

***– ეგ გასაგებია, მაგრამ ევროპის შუაგულში მსგავსი რეზოლუციის მიღება რამდენად სასარგებლოა ქვეყნისთვის? რეზოლუციით პირდაპირ მოითხოვენ ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას, ის შურისმაძიებლად და ოლიგარქადაა მოხსენიებული. „ოცნების“ ლიდერები ამბობენ, რომ ამ რეზოლუციას ნულოვანი ფასი აქვსო, მაგრამ წინა რეზოლუციამ საქართველოს კანდიდატის სტატუსი დააკარგვინა და რაღაც პერსპექტივა შემოგვაჩეჩეს.***

– ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, რომ ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია, საქართველოსთვის კარგი და პოზიტიური არ არის, მაგრამ ეს ისაა, რაც შეუძლიათ ოპოზიციურად განწყობილი პარტიის, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა გააკეთონ.

ამიტომ ეს რეზოლუცია არაფერია. ცხადია, კარგი არ არის, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. რამდენიმე კვირის წინ, ევროკავშირმა კითხვარზე საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას პასუხები განიხილა. ამ სამ სახელმწიფოს შორის, საქართველომ მოწინავე პოზიცია დაიკავა.

ანუ გაუგებარია, მაშინ ევროკავშირის წევრობის კანდიდატურის სტატუსი საქართველოს რატომ არ მოანიჭეს და პერსპექტივის სტატუსით რატომ დაკმაყოფილდნენ? ე.ი. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც უკრაინაში მიმდინარე ომთან პირდაპირ ბმაშია.

მოლდოვა დღესაც დსთ-ის წევრი სახელმწიფოა და ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ევროპასთან მისმა ტერიტორიულმა ახლობლობამ გადაწყვიტა მათთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება.

***– ანუ რის თქმა გინდათ?***

– იმის თქმა მინდა, რომ რეზოლუცია კარგი არ არის, მაგრამ ტრაგედიაც არაა. საბოლოო გადაწყვეტილებას ევროკავშირის ქვეყნების მეთაურები მიიღებენ. დღემდე ვერ ვიხსენებ, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერების მიერ, საქართველოს წინააღმდეგ გამოხატულ, ოფიციალურ სახელმწიფო პოზიციას. იმედია, ასეთი პოზიცია არც იქნება.

ისინი ამ ყველაფერს სულ სხვა პასუხისმგებლობით უდგებიან. ევროკავშირის რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილზე ვენდეტასა და მსგავს რაღაცებზე ჩანაწერი, სრულად კარიკატურულია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ვენდეტა რომ დასჭირვებოდა და ამის სურვილი ჰქონოდა, 2014 წლის შემდეგ, აბსოლუტურად უპრობლემოდ განახორციელებდა, როდესაც სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადა ამოწურა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ იყო.

ალბათ გახსოვთ, საქართველოში კოაბიტაციამ ბევრი კითხვა დაბადა და თვით „ოცნების“ ამომრჩეველთა შორის, დიდი ნიჰილიზმი შვა. არანაირი ანგარიშსწორების განწყობა არ ყოფილა. მხოლოდ ასეთი პოზიცია იყო, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, პასუხი მას უნდა ეგო და პოლიტიკური გადაწყვეტილება არ უნდა მიღებულიყო.

სააკაშვილს დანაშაული შერაცხული, დადგენილი და მისჯილი რომ აქვს და სასჯელს იხდის, ახალი არ არის, ფაქტია. სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა კიდევ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით გრძელდება. ამიტომ ივანიშვილის მიმართ ბრალდებები თითიდან გამოწოვილია.

სხვა ქვეყნებზე არ ვილაპარაკებ, შეურაცხყოფას არ მივაყენებ. ქართულ სინამდვილეში არც ერთი პატიმარი სააკაშვილისნაირ პირობებში არ ყოფილა. არ არსებობს პრაქტიკა, რომ პატიმარი კლინიკაში 10-15 დღეზე მეტ ხანს განთავსებულიყო. სააკაშვილი თითქმის 1 წელია საავადმყოფოს პალატებშია. არანაირ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელს არ იხდის.

***– მესმის. თქვენ ბრძანეთ, ნაცმოძრაობას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ევროპარლამენტს რეზოლუციებს აღებინებს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებსო, მაგრამ „ოცნება“ რას აკეთებს? ევროპარლამენტის რეზოლუციის მიღების მეორე დღეს, ევროსასამართლომ ერთ-ერთ წამებულ ადამიანზე, საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში 2003-2012 წლებში ადამიანებს სისტემურად აწამებდნენ.***

– დიახ, წამებას სისტემური ხასიათი ჰქონდაო. დანაშაულს არ წერენ, მაგრამ „სისტემური ხასიათი“ ამას ნიშნავს.

სტრასბურის სასამართლოს ბევრ საქმეზე არ აქვს გადაწყვეტილება გამოქვეყნებული, მაგრამ ადგილობრივ სასამართლოებს ბევრ საქმეზე აქვს განაჩენი გამოქვეყნებული. თუმცა, ე.წ. კასრების საქმეზე მტკიცებულებები მასობრივად განადგურდა. ამ პირობებში დაუკმაყოფილებლობის განცდა მართლაც გეუფლება, რომ ქვეყანა საბოლოო შედეგზე ვერ გავიდა.

***– რას ნიშნავს მასობრივად განადგურებული?***

– ეს ხომ ახალი არ არის. მაშინ მტკიცებულებები განადგურდა. მე იმ დროსაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, ამის წინააღმდეგი არასამთავრობო სექტორიდან კახა კახიშვილი იყო, ხოლო პოლიტიკოსებიდან, მოქმედი დეპუტატებიდან მხოლოდ მე ვიყავი, რომელიც ვამბობდი, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა.

პირიქით, პარლამენტის ტრიბუნიდან ჩვენს ხელისუფლებას მოვიწოდე, რომ კასრებში აღმოჩენილი მტკიცებულებები არ უნდა განადგურებულიყო. ის კადრები უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას ღამით, 12 საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით ისე, რომ ადამიანების იდენტიფიკაცია ვერ მოხდეს, რათა საზოგადოებამ ნახოს, რეალურად, რა რეჟიმთან და როგორ სისხლისმწოვლებთან გვქონდა საქმე, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა.

რაც დრო გადის, მოდის ახალი თაობა, რომელმაც არ იცის, რეალურად, ვისთან აქვს საქმე. მათ წინააღმდეგ გაკეთებული ყველა განცხადება, მათი დევნის ტოლფას განცხადებად აღიქმება. ამას შემდეგი თაობისთვის ვლაპარაკობ, თორემ ესენი ვინც არიან, ჩვენმა თაობამ ძალიან კარგად იცის.

ამიტომ, მე მგონი, დღის წესრიგში დადგება, ამ ე.წ. პოლიტიკური ორგანიზაციის, ნაცმოძრაობის სამართლებრივი შეფასების საკითხი. კარგი იქნება თუ ეს გაკეთდება. საზოგადოებამ იმ ადამიანებისაგან უნდა დაისვენოს, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი.

ვისაც ხელი სისხლში გასვრილი არ აქვს, ვინც არ ჩადიოდა ბოროტებას, არ ასრულებდა უკანონო დავალებებს და ადამიანების „გვამებზე არ დადიოდა“, მათ პოლიტიკური საქმიანობა გააგრძელონ. პარტია შექმნან. პარტია იქნება თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა პოლიტიკურ სპექტრში არსებობა უკვე წარმოუდგენელია.

ამასთან, საზოგადოებას არ უნდა დარჩეს იმის განცდა, რომ ხელისუფლებისთვის ევროსტრუქტურები მიუწვდომელია. რა თქმა უნდა, იგივე ევროპარლამენტში ჩვენი დელეგაციები დადიან, ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენი საელჩოები გვაქვს. საელჩოებია გასააქტიურებელი.

***– საელჩოები, საერთოდ, რას აკეთებენ?***

– საელჩოები რას აკეთებენ, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრის განსასჯელია, მაგრამ ფაქტია, რომ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები და მხარდამჭერები ზღვარგადასულად, თავხედობის ზენიტში გადასულები არიან. პოლიტიკურ უბიწობას იჩემებენ მაშინ, როდესაც პოლიტიკური მრავალშვილიანობა შვეს იმიტომ, რომ ნაცმოძრაობა ხომ არის, კიდევ მათგან მრავალი პოლიტიკური პარტია წარმოიშვა. ამაზე დიდი ანომალია რა შეიძლება იყოს?!

ნაცმოძრაობა როგორც უნდა გაიშალოს სივრცეში, მისი დანაშაულები არ გაქრება, ვერ გაქრება.

# „რუსეთი არის სახელმწიფო გაურკვეველი მომავლით, გაურკვეველი საზღვრებითა და გაურკვეველი სტატუსით“

## „ვინ უნდა გაიწვიონ რუსებმა?

მარიამ მჭედლიშვილი



**უკრაინაში აგრესორი რუსეთის შეტევები გრძელდება. ფართომასშტაბიან იერიშს (რომელსაც დამპყრობლისგან მოელიან) მეტი შესაძლებლობები სჭირდება. უკრაინის შეიარაღებული ძალების კაპიტანი, საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ტრეგუბოვი აღნიშნავს, რომ რუსეთის რესურსი ისეთი უსაზღვრო არაა, როგორადაც წარმოაჩენენ. მათ შორის, ადამიანური ძალების მხრივ. ის ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ სასაზღვრო და სამართლებრივ ქაოსზე, რომელიც რუსეთმა საკუთარ თავს შეუქმნა უკრაინის ტერიტორიების მიტაცებით. ვიქტორ ტრეგუბოვი უკრაინულ მედიას ესაუბრა.**

***— დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის, ბენ უოლესის განცხადებით, რუსეთის არმიის 97% უკვე უკრაინაშია. ამასთან, მათი ბრძოლისუნარიანობა 40%-ითაა დაცემული. რაზე მეტყველებს ეს მონაცემები? თუ ასეთი მდგომარეობაა, რატომ მერყეობს კრემლი მობილიზაციის საკითხში?***

— კრემლს დაუსრულებელი სამობილიზაციო რეზერვი არ გააჩნია, ეკონომიკას კი არ შეუძლია შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფა. მათ, ჩვენგან განსხვავებით, არ აქვთ ბალიში, რომელიც შედგება საერთაშორისო კრედიტებისა და დახმარებისაგან. ბოლო თვის განმავლობაში, არსებული ინფორმაციით, პატიმრებიც კი არ ერთვებიან მობილიზაციაში. სად უნდა მოაგროვონ ხალხი? ვინ უნდა გაიწვიონ? „აიტიშნიკები“ (საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები), რომლებიც ჯერ არ გაქცეულან საქართველოში ან გერმანიაში?

რუსეთის შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება საჭირო არაა. ეს არის შეცდომა, რომელსაც ხშირად ვუშვებთ ამ ომში. რესურსებში რუსებიც შეზღუდული არიან. მათ თავისი ძირითადი ძალები ომის პირველ ეტაპზე დაკარგეს. დანაკარგს წინა წლის ბოლოს მობილიზაციით ინაზღაურებდნენ. მათი სამობილიზაციო რესურსიც არ არის უკიდეგანო. ვიღა უნდა გაიწვიონ — ალკოჰოლიკები, ახალგაზრდა ქალები?!

***— პუტინი ხომ ეუბნებოდათ, ალკოჰოლისგან სიკვდილს ფრონტზე დაღუპვა ჯობიაო. წავა თუ არა ის იმაზე, რომ ხალხს ავტომატის აღებისა და უკრაინაში ფრონტზე წასვლისკენ უბიძგოს?***

— მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ამისათვის არ არსებობს ფსიქოლოგიური მზაობა. პირიქით, რუსეთში შენარჩუნებულია გაურკვეველი სიტუაცია: ერთი მხრივ, გაცხადდა, რომ სამობილიზაციო ღონისძიებები დასრულებულია, მეორე მხრივ კი, მათი ნაწილი იურიდიულად ჯერჯერობით არ მუშაობს. რუსეთის დეპუტატებსაც კი არ ესმით, რამდენად არის ქვეყანა მობილიზებული. არავის ესმის, როგორია რუსეთის ფედერაციის ახლანდელი საზღვრები. ისინი თვითონ უშვებენ უცნაურ რუკებს. ამ რუკებზე, მაგალითად, რუსეთის შემადგენლობაში შეყვანილია ქალაქი ზაპოროჟიე, მაგრამ არ არის შეყვანილი ხარკოვის ოლქის ნაწილი, სადაც ფსევდორეფერენდუმი გაიმართა. აქედან გამომდინარე, დღეს რუსეთი არის სახელმწიფო გაურკვეველი მომავლით, გაურკვეველი საზღვრებითა და გაურკვეველი სტატუსით.

***— წარმოიქმნა სკანდალი კვაზიწარმონაქმნ „დნრ“-სა (ე. წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკა) და რუსეთის ფედერაციას შორის. იქიდან არ უშვებენ სატვირთო მანქანებს, რომლებიც მოდიან როსტოვის ოლქში. სასაზღვრო კონტროლი არათუ არ გაუქმებულა, გაძლიერდა კიდეც. რატომ ემიჯნება რუსეთი „ბანანის რესპუბლიკებს“?***

— ძნელი სათქმელია, ახლა რას ფიქრობენ. აშკარაა, რომ გადაწყვეტილება ფსევდორეფერენდუმების ჩატარებაზე ნაჩქარევად იქნა მიღებული. არავის უცდია, შესაბამისობაში მოეყვანა ფაქტობრივი სიტუაცია და კანონმდებლობა. ეს დეკლარაციული ნაბიჯი იყო. ამჟამად რუსეთი რთულ იურიდიულ სიტუაციაში ცხოვრობს. საზღვარი თითქოს თან არსებობს და თითქოს თან არ არსებობს.

***— დასავლეთის დაზვერვის მონაცემებით, იარაღის წარმოება რუსეთში არ შეესაბამება უკრაინაში მიმდინარე ომის მოთხოვნებს. ამასთან, ვხედავთ შეტევას, რომელსაც ვაანონსებდით. განიცდის თუ არა რუსეთი შიმშილს შეიარაღებაში?***

— ზუსტად ვიცით, რომ ისინი განიცდიან საარტილერიო შიმშილს. საარტილერიო დარტყმების რაოდენობა შემცირებულია. რა მდგომარეობაა რუსეთის საწყობებში, სადღაც ციმბირში, ამაზე ვერაფერს ვეტყვით.

***— მედვედევი (რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე) გამოვიდა მოწოდებით, გაზარდონ ტანკების წარმოების რაოდენობა. ფაქტობრივად, მან აღიარა, რომ ტანკებიც არც ისეთი ბევრი დარჩათ, როგორც ყველას ეგონა.***

— რუსეთში არსებობს ტანკების პრობლემა არა რაოდენობის, არამედ ხარისხის თვალსაზრისით. სირთულეებს ქმნის არსებული ტანკებიც და წარმოებაც. სატანკო რესურსი რუსეთს დიდი აქვს, თანამედროვე ბრძოლისუნარიანი ტანკები კი — ცოტა.

***— მტრის დანაკარგზე გკითხავთ. დროებით ოკუპირებულ ყირიმშიც აღმოაჩინეს მორიგი კრემატორიუმი, სადაც დაღუპულ ოკუპანტებს წვავენ. ადრე კრემატორიუმები აღმოჩნდა ზაპოროჟიესა და ლუგანსკის ოლქში. ნუთუ ახლად მობილიზებულების ახლობლები არ კითხულობენ, თუ რატომ არ ბრუნდებიან ისინი?***

— ვის უნდა დაუსვან ეს შეკითხვა! ეს უკრაინა არ არის. ტელეგრამ-არხებში ხდება ამ საკითხების წამოწევა, მაგრამ იქ პასუხს არავინ გასცემს. ოფიციალურ მედიამდე ეს არ აღწევს და საზოგადოებაზე გავლენას ვერ ახდენს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ერთადერთი მშვიდობიანი პერიოდია ჩვენს არსებობაში... ომით ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერც კეთილდღეობას და ვერც სტაბილურობას“

— უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის. ეს მართლაც ისტორიული შემთხვევაა, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ლიდერი ერთად ვართ, ეს უკვე არის წარმატება, წარმატებული შემთხვევა. მადლობას გიხდით ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის.

რაც შეეხება ომს უკრაინაში, რა თქმა უნდა, ეს არის დიდი გამოწვევა ყველა ჩვენგანისთვის, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ თემატურ პანელურ დისკუსიაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 2008 წელს საქართველოსაც ჰქონდა ომი რუსეთთან, რუსეთს საქართველოს ისტორიული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ორი სამხედრო ბაზა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, დიდი ძალისხმევა გასწიეს დეესკალაციის კუთხით და ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.



— უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის. ეს მართლაც ისტორიული შემთხვევაა, — სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ლიდერი ერთად ვართ, ეს უკვე არის წარმატება, წარმატებული შემთხვევა. მადლობას გიხდით ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის.

რაც შეეხება ომს უკრაინაში, რა თქმა უნდა, ეს არის დიდი გამოწვევა ყველა ჩვენგანისთვის. მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მსოფლიოს არც განუცდია მსგავსი მასშტაბის გამოწვევა. თქვენ იცით, რომ 2008 წელს ჩვენც გვქონდა ომი რუსეთთან. მას შემდეგ, რუსეთს ჩვენი ისტორიული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს — აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ორი სამხედრო ბაზა გააჩინა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთს. მას შემდეგ ჩვენ ბევრი პრობლემა გამოვიარეთ, ბევრი გამოწვევა გვქონდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, 2012 წელს, ძალიან დიდი ძალისხმევა გავწიეთ დეესკალაციის კუთხით. დეესკალაციასთან ერთად, ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, უვიზო მიმოსვლა გაგვაჩნია და გასულ წელსაც ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა საბჭომ, როდესაც ევროპული პერსპექტივა მიანიჭა საქართველოს. თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ვიტყვი შემდეგს: ამ ომს უკრაინაში ყველაზე აქვს გავლენა. ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ აქცენტი კეთდება რუსეთის მხრიდან უკრაინაზე. ეს არის დამანგრეველი ომი, და მე უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ომის შესაჩერებლად, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს და საქართველოს მშვიდობიანი გეგმა აქვს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

— მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია და აქვე გეტყვით, რომ საქართველო კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პოლიტიკას მიჰყვება. რაც შეეხება სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ საქართველოს აქვს მშვიდობიანი გეგმა, თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

მადლობა მინდა გადავუხადო ეუთოს და სხვა მონაწილეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მედიაციის პროცესში. თქვენ ბრძანეთ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები, ესეც არის ერთადერთი პლატფორმა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობისთვის გვაქვს. ამიტომ, უნდა გავიმეორო, რომ ეს ომი უნდა შეწყდეს. ჩვენ გვინახავს ომის შედეგი ჩვენს ქვეყანაში 2008 წელს. ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა, სრულად დავკარგეთ კონტროლი ჩვენს ტერიტორიებზე და, როგორც ვთქვი, სამხედრო ბაზები აქვს რუსეთს კვლავ ჩვენს ტერიტორიაზე. ეს მიმდინარე პროცესია, არ შეჩერებულა.

ასევე მინდა ვახსენო, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, ჩვენ არ გვინახავს სანქციები, რომლებიც რუსეთს დაუწესდებოდა. პირიქით, ვნახეთ, რომ ბიზნესი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა რუსეთთან. ამიტომ, ვიტყოდი, ძალიან ცუდი სიგნალი იყო ის, რომ სანქციები არ მოჰყვა ჩვენს შემთხვევას. უნდა ვახსენო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა ჩამოყალიბდეს, როგორ წავალთ წინ. თუ ეს ომი გაგრძელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას კიდევ უფრო დამანგრეველი ძალა ექნება, მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპება. ეს ომი მსოფლიომ უნდა დაასრულოს, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უპასუხა დასმულ კითხვას მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა კერძო კლინიკაში სააკაშვილისთვის მაქსიმალურ კომფორტს და მკურნალობას უზრუნველყოფს და მას აქვს ყველა პრივილეგია, რაც არ აქვთ სხვა პატიმრებს.

— მე არ მინდა სპეკულირება ამ საკითხზე. პრეზიდენტი სააკაშვილი კერძო კლინიკაში მკურნალობს. ხალხმა მინდა იცოდეს, რომ საქართველოში წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა, პირველ ოქტომბერს, ზუსტად რომ ვთქვა, და იდეა მისი დაბრუნებისა იყო რევოლუციის მოხდენა და მასობრივი მკვლელობების ინსპირირება. წარუმატებელი აღმოჩნდა მისი გეგმა და ციხეში აღმოჩნდა. ჩვენ გადავიყვანეთ კერძო კლინიკაში, ხალხს აღარ გადავღლი დეტალებით, მაგრამ რადგან კითხვა დაისვა, მინდა პასუხი გავცე. ის მკურნალობს კერძო კლინიკაში 8 თვეზე მეტია უკვე, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტს და მკურნალობას, ყველა პრივილეგიას, რაც არ გააჩნიათ სხვა პატიმრებს.

თქვენ ახსენეთ კადრები, ფოტოები, მე იმას ვიტყვი, რომ ბატონი სააკაშვილი კარგი მსახიობია. საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს, მაქსიმალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ჩვენ შეთავაზება გავუკეთეთ მის ოჯახს, რომ ჩამოიყვანონ ნებისმიერი ექიმი ნებისმიერი ქვეყნიდან, ნებისმიერი კლინიკიდან, თუ სჭირდება რეალურად მკურნალობა, საქართველოში ჩამოიყვანონ, ესაა ჩემი პასუხი. ალბათ, თქვენ გინახავთ ძალიან ბევრი მცდარი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სააკაშვილის ოჯახის ლობისტური ფირმების მიერ. მაგალითად, ერთ-ერთ ფაქტს დავასახელებ. გასულ თვეში გაჟღერდა, რომ ერთი მილიონი დოლარი გადაუხადა მისმა ოჯახმა აგრესიული მედიაკამპანიის საწარმოებლად მთელ მსოფლიოში. რაც თქვენ გესმით, რასაც ხედავთ ვიდეოთი, ფეისბუკზე, სოციალურ ქსელებში, არ წარმოადგენს რეალობას. არავინ დგას კანონის ზემოთ, ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი დემოკრატია საქართველოში, ვაშენებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ეს არის დემოკრატიის არსი, რომ არავინ უნდა იდგეს კანონზე მაღლა.

სააკაშვილმა მძიმე დანაშაულები ჩაიდინა, გირგვლიანის მკვლელობით დაწყებული, ყოფილი პარლამენტარის ცემით და სხვების გათვალისწინებით. კერძო ტელევიზია „იმედში“ შეიჭრა მის პერიოდში სპეცრაზმი და ორი დღე კონტეინერში გაატარა კაცმა, როდესაც ოდესიდან საქართველოში შემოვიდა, რომ რევოლუცია მოეხდინა. ეს არის ამბავი. მე არ მინდა ამ ადამიანზე ვისაუბრო ამ პანელზე და ასეთი პასუხი მინდა გაგცეთ კითხვაზე, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხალხს სჭირდება კეთილდღეობა, სტაბილურობა, მშვიდობა და ომით ეს არ მიიღწევა.

— მადლობა შეკითხვისთვის. რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები ახსენეთ და, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ როდესაც ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს — საერთაშორისო პარტნიორებს — ველაპარაკებით, გვესმის საერთო პოზიცია, რომ შეუძლებელია რაიმე კონკრეტული ითქვას უკრაინის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ ომის შედეგები იქონიებს გავლენას სხვა ქვეყნებზეც — საქართველოზე, მოლდოვაზე (რაც თქვენ დაასახელეთ). მოდით პირდაპირ ვთქვათ, საერთო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის კონტექსტში, რასაც ახლა რუსეთი ცდილობს, არის საერთაშორისო წესრიგის — წესებზე დაფუძნებული წესრიგის — შეცვლა. ამიტომ, როგორც ექსპერტები გვეუბნებიან, 2-3 თვეში ჩვენ გვექნება ნათელი სურათი იმისა, თუ სად ვართ.

თქვენ კარგად იცით საქართველოს შესახებ. ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენ ეს ომი 2008 წელს განვიცადეთ და არაპირდაპირი ომი გვქონდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთის მხარდაჭერით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ომი. ამიტომ, გამოცდილება დაგვიგროვდა.

რთულია ითქვას, რა მოხდება. მიმაჩნია, რომ დრო გვაჩვენებს, სად ვართ, სად ვიქნებით, სად იქნება რეგიონი და ევროპა უკრაინის ომის შემდეგ. მე უნდა გავიმეორო ის, რაც თავიდანვე ვთქვი, ბატონებო, — მშვიდობიან მოლაპარაკებებს არ გააჩნია ალტერნატივა, იმიტომ, რომ თავად ვიხილეთ, რომ ატომური ომის საფრთხის შესახებ რიტორიკა დაბრუნდა, რაც კატასტროფულია არა მარტო უკრაინისთვის, არამედ ევროპისა და მთელი პლანეტისთვის. ამიტომ, უნდა ველოდოთ, რომ შეერთებულ შტატებს, ჩინეთს, რუსეთს, ევროკავშირს ექნება ერთად დასხდომის საშუალება და მოლაპარაკების სურვილი. იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ომი არ არის გადაწყვეტა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მხოლოდ 4 მილიონიანი მოსახლეობით. ჩვენ საკუთარი გამოწვევები გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ რაც შევძელით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ის არის, რომ ეს არის ერთადერთი მშვიდობიანი პერიოდი ჩვენს არსებობაში, როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში ვართ და უზრუნველვყავით მშვიდობა და სტაბილურობა. ეს სჭირდება ხალხს!

ხალხს სჭირდება კეთილდღეობა, სტაბილურობა, მშვიდობა! ომით ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერც კეთილდღეობას და ვერც სტაბილურობას, — განაცხადა პრემიერმა.

# ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე „მშენ-ექსპერტის“ დირექტორი და ამავე კომპანიის ექსპერტი ბრალის დამძიმებას არ ეთანხმებიან

ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე „მშენ-ექსპერტის“ დირექტორი ნუგზარ ქიტიაშვილი და ამავე კომპანიის ექსპერტი დავით თუშიშვილი მათთვის ბრალის დამძიმებას არ ეთანხმებიან.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულების ადვოკატმა ლიკა ძარიამ განუცხადა.

ძარიას განმარტებით, თუშიშვილი და ქიტიაშვილი უდანაშაულოები არიან.

– ნუგზარ ქიტიაშვილისა და დავით თუშიშვილის ადვოკატები ბრალის დამძიმების ნაწილში ბრალდების მხარეს არ ვეთანხმებით. ბრალდებულები უდანაშაულოები არიან. ამ ეტაპზე, უფრო დეტალურ კომენტარს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების ინტერესებიდან გამომდინარე ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ძარიამ.

ცნობისთვის, 2022 წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შედეგად, 13 წლის მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა, ორი მოზარდი – ანდრია ლორთქიფანიძე და ლაზარე ლობჟანიძე კი დაშავდა. მეფარიშვილის გარდაცვალების საქმეზე 9 პირია ბრალდებული, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული, ნაწილ მათგანს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბრალდება დაუმძიმა. კერძოდ, ბრალი დაუმძიმდათ – „გრინსერვისი+“-ის დირექტორს, ლაშა ფურცხვანიძეს უხარისხო სამუშაოების შესრულების ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ორი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია (სსკ-ის 251-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). „გრინსერვისი+“-ის თანამშრომელს დევი კახოიძეს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 25,362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და „მშენ-ექსპერტი“-ს დირექტორს ნუგზარ ქიტიაშვილსა და ამავე კომპანიის ექსპერტს დავით თუშიშვილს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, გასაღების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).



## ამზადებდნენ ყალბ 100-ლარიანებს, ამოღებულია 11.800 ლარი



საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე სამი პირი პასუხისგებაში მისცა, რომელთაგან ერთი დაკავებულია – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებულები სისტემატურად ამზადებდნენ 100-ლარიანი ნომინალის ყალბ კუპიურებს, რომელსაც შემდგომ ასაღებდნენ საქართველოს მასშტაბით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯამში ამოღებულ იქნა 11 800 ლარის ოდენობის 118 ცალი ყალბი 100-ლარიანი კუპიურა, – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების ცნობით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

## დააკავეს 3 პირი, რომლებიც ტურისტული კომპანიიდან საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში უკანონოდ უშვებდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, პოლიციამ თბილისსა და ქუთაისში დააკავა 3 პირი, რომლებიც ორგანიზებას უწევდნენ აშშ-ში საქართველოს მოქალაქეების უკანონოდ გამგზავრებას.



უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნ.ვ.-მ შექმნა ტურისტული კომპანია, რომელიც ორგანიზებას უწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს მოქალაქეების უკანონოდ გამგზავრებას და იქ დარჩენას. ნ. დ. და ნ. ბ. აღნიშნულ კომპანიაში იყვნენ დასაქმებული.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულები ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლის მსურველ პირებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, შესაბამის დოკუმენტაციას უმზადებდნენ, რის შემდეგაც სხვადასხვა ქვეყნის გავლით ახდენდნენ მათ ტრანსპორტირებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვართან, საიდანაც საქართველოს მოქალაქეები უკანონოდ გადადიოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბრალდებულების სამუშაო ოფისებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო ფულადი თანხა, დოკუმენტები, კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები.

გამოძიება სსკ-ის 344-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნასა და ორგანიზებას გულისხმობს. დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## რა მოხდა ყაზბეგის გამზირზე და ვინ დაემუქრა პატრულს

მუქარა მაღალჩინოსნის სახელით – რამდენიმე დღის წინ ყაზბეგის გამზირზე მოქალაქეები სამართალდამცველებს დაუპირისპირდნენ. თვითმხილველის თქმით, პოლიციამ მანქანა გააჩერა, რის გამოც მძღოლმა და თანმხლებმა პირმა უკმაყოფილება გამოთქვეს. ისინი პოლიციელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის სახელით ემუქრებოდნენ და ამბობდნენ, რომ მისი ნათესავები იყვნენ.




ადგილზე პატრულის რამდენიმე ეკიპაჟი და კრიმინალური სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ, თუმცა პოლიციას არავინ დაუკავებია. საბოლოოდ მოქალაქეები, რომლებიც პოლიციელს მაღალჩინოსნის სახელით დაემუქრნენ, გაუშვეს.

## მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს.

მათი ინფორმაციით, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

9 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „სადახლო-საავტომობილო“ და „ფოთის პორტი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური და კუთვნილი ბარგის, ასევე მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 35 140 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## რუსთავში შვილმა დედას სცემა და მოკვლით დაემუქრა

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, რუსთავში 40 წლამდე შვილმა 60 წლის დედას სცემა. შემთხვევა ჭყონდიდელის დასახლებაში მოხდა.

როგორც ცნობილია, დედაშვილს შორის სიტყვიერი კამათი ფიზიკური დაპირისპირებით დასრულდა. კაცი დედას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და სცემა.

შემთხვევის ადგილზე გამოიძახეს კრიმინალური პოლიცია. სამართალდამცავებმა კაცი ბრალდებულის სახით დააკავეს.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# ირაკლი ღარიბაშვილი ჟოზეფ ბორელს მიუნხენში შეხვდა



„რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, საქართველოს მიერ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში გადადგმული წარმატებული ნაბიჯები, ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ანალიტიკური ანგარიში“ – ეს იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჟოზეფ ბორელის შეხვედრის ძირითადი განსახილველი საკითხები, რომელიც მიუნხენში, უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესი, რომელთა დიდი ნაწილი სრულადაა შესრულებული, საკანონმდებლო აქტების ნაწილი კი, დასკვნისათვის გაგზავნილია ვენეციის კომისიაში.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ქვეყნისთვის შემდეგი ეტაპია კანდიდატის სტატუსის მიღება.

• • •



**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები განიხილეს.**

საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო იყო ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ევროკომისიის პრეზიდენტს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი სრულადაა შესრულებული, საკანონმდებლო აქტების ნაწილი კი, დასკვნისათვის გაგზავნილია ვენეციის კომისიაში.

პრემიერმა შეხვედრაზე იმედი გამოთქვა, რომ ევროკომისია, პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენის ხელმძღვანელობით, გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და წელს მოხდება კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილების მიღება, რაც საქართველოსთვის დამსახურებული კანდიდატის სტატუსის მინიჭებაა.

საუბარი ასევე შეეხო უკრაინაში რუსეთის აგრესიას და მის გავლენას საქართველოზე, რეგიონსა და ზოგადად მსოფლიოზე.

• • •

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ოლაფ შოლცმა საქართველოსა და გერმანიის მჭიდრო პარტნიორულ და მეგობრული ურთიერთობის შესახებ ისაუბრეს.**



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ოლაფ შოლცს მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს საქართველოსა და გერმანიის მჭიდრო პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობა სხვადასხვა მიმართულებით. ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ გერმანია კვლავ გააგრძელებს საქართველოს მთავარი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მხარდაჭერას.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოლაფ შოლცს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც საქართველო დგამს ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად.

პრემიერ-მინისტრმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი მისთვის ხელსაყრელ დროს საქართველოში მოიწვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტმა ოდილ რენო ბასომ მიუნხენში, კონფერენციის ფარგლებში შეხვედრა გამართეს

პრემიერ-მინისტრმა EBRD-ის პრეზიდენტს ოდილ რენო ბასოს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უწევს საქართველოს ევროპული მისწრაფებების გზაზე.

მხარეებმა მიმოიხილეს ბანკის დაფინანსებით მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები, რომლებიც ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, განათლების, ენერგეტიკის, საბანკო სექტორისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

EBRD-თან თანამშრომლობის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა 4.9 მილიარდ ევრომდე მოცულობის მხარდაჭერა საჯარო და კერძო სექტორში.

• • •



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეუთოს გენერალურ მდივანს ჰელგა მარია შმიდს მიუნხენის 59-ე უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში შეხვდა.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორგანიზაციის ფარგლებში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და გამოწვევებს, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებას და ეუთოს ჩართულობის მნიშვნელობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. მათ შორის, კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას და პროგრესის მიღწევის აუცილებლობას მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე. აღინიშნა ასევე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეუფერხებელი ფუნქციონირების აუცილებლობა.

ხაზი გაესვა ეუთოს ინსტიტუტებთან საქართველოს წარმატებულ თანამშრომლობას და პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო მზად არის გააგრძელოს ნაყოფიერი თანამშრომლობა როგორც ორგანიზაციის სამდივნოსთან, ისე შესაბამის ინსტიტუტებთან.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა გენერალურ მდივანს საქართველოს მხარდაჭერისთვის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკითხის ორგანიზაციის მაღალი დონის პოლიტიკურ დღის წესრიგში აქტიური შენარჩუნებისთვის.

2023, 20 თებერვალი, №35
ახალი თაობა

# რა დაგეგმა პუტინმა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ბრძოლის მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია. რასაკვირველია, სალი აზრი მოითხოვდა, რომ რუსეთს შეტევა რამდენიმე მხრიდან დაეწყო: დონბასიდან, უკრაინის სამხრეთიდან, ბელორუსიდან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით. ეს გეგმა მეტწილად ქაღალდზე დარჩა. უკრაინულმა არმიამ მტერს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. რუსეთიც იძულებული გახდა, თავის გეგმებში კორექტივები შეეტანა. მოსკოვს აღარ გააჩნდა ძალა საიმისოდ, რომ შეტევა რამდენიმე მიმართულებით განეხორციელებინა. რუსეთმაც ყურადღების მთელი კონცენტრაცია დონბასზე მოახდინა. შეტევა ბელორუსიდან ან უკრაინის სამხრეთიდან არ შედგა.

რუსეთმა ახალი გეგმა შეიმუშავა, კერძოდ, დაგეგმილია უკრაინაზე მასობრივი საჰაერო შეტევა. ის დაახლოებით სამ წუთს უნდა გაგრძელდეს, შემდეგ კი დროის მცირე ინტერვალების შემდეგ განმეორდეს. საჰაერო შეტევას სახმელეთოც მოჰყვება. საამისოდ რუსეთს უკვე გამზადებული ჰყავს დამატებით კიდევ 500.000 ახალწვეული.

21 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა რუსეთის ფედერალურ საბჭოს უნდა მიმართოს. 22-ში დაგეგმილია ფედერალური საბჭოს სხდომა. მასზე მიწვეულნი არიან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „პრეზიდენტები“.

რადიო „თავისუფლების“ ექსპერტის ელენე რიკოვცევას აზრით, ეს შემთხვევითი არაა. არ არის გამორიცხული, რომ 22 თებერვალს რუსეთის ფედერაციას ახალი სუბიექტებიც შეუერთდნენ. ესენია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამით უკრაინაზე შეტევას მწვანე შუქი აენთება. თუ რუსეთმა კიდევ მოახერხა რაიმე უკრაინული ტერიტორიის ოკუპაცია, მასაც რუსეთის ფედერაციას შეუერთებენ.

რიკოვცევას აზრით, არ არის გამორიცხული, რომ პუტინმა რუსეთში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადოს. ეს იმას ნიშნავს, რომ უქმდება განსაზღვრა ანტიტერორისტული ოპერაცია. მას შეცვლის თეზისი: რუსეთ-უკრაინის ომი.

ეს რუსეთს ბევრს არაფერს მისცემს. ომი ისედაც მიმდინარეობს. უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი აქამდე აკავებდა ნაციონალისტებს რუსეთზე დარტყმისაგან. მასობრივი დაბომბვების შემთხვევაში ზელენსკი ამას უკვე ველარ შეძლებს. ამიტომ გასაგებია თეთრი სახლის მიმართვა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკის მოქალაქეებისადმი, სასწრაფოდ შინ დაბრუნდითო.

# ბრიტანეთი უკრაინას შორსმსროლელ რაკეტებს გადასცემს



ბრიტანეთის პრემიერმა სუნაკმა განაცხადა, რომ უკრაინისადმი დახმარება უნდა გაძლიერდეს. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინას დღეს ჰაერივით ესაჭიროება ტანკები, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, არტილერია, ჰაუბიცები, რაკეტები.

– ბრიტანეთი ევროპის პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც უკრაინას შორსმსროლელ რაკეტებს გადასცემს, – თქვა სუნაკმა.

# როდის მიაწვდის პოლონეთი უკრაინას ტანკებს?!



პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ დასავლეთს მოუწოდა, უკრაინისათვის იარაღის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით მიწოდებისაკენ. დუდამ ხაზი გაუსვა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება.

– უკვე 24 თებერვლიდან რუსეთი უკრაინაზე ახალ მასობრივ შეტევას დაიწყებს! მოსალოდნელია როგორც ტოტალური დაბომბვა (როცა რაკეტებს ყოველ სამ წუთში ერთხელ ისვრიან), ისე სახმელეთო ოპერაციაც. სავარაუდოდ, პუტინი შეტევაზე 500.000-მდე ახალწვეულს გარეკავს, – თქვა დუდამ.

პოლონეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყანა უკრაინას ტანკებს უკვე ერთ, მაქსიმუმ, ორ თვეში მიაწვდის.

# ბაიდენი მზადაა კონგრესს ფული კვლავ მოსთხოვოს



როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ აშშ-მა უკრაინას გამოუყო რეკორდული თანხა, 13 მილიარდი დოლარი. პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში კვლავ მოსთხოვს კონგრესს ფულს.

აშშ-ის კონგრესში უკრაინისადმი დახმარები გაძლიერებას მხარს უჭერენ როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები. გამონაკლისია ტრამპის მომხრეთა მცირე ჯგუფი, ე.წ. ტრამპისტები. ისინი მოითხოვენ უკრაინისათვის დახმარების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მაგრამ ეს ხალხი უმცირესობაშია.

# ამერიკელი აუდიტორები კიევში ჩავიდნენ

უკრაინის დედაქალაქში ამერიკელი აუდიტორები ჩავიდნენ. მათ უნდა გააკონტროლონ, თუ კონკრეტულად რას ხმარდება ამერიკული დახმარება.

აშშ განაგრძობს უკრაინული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. პარალელურად ძლიერდება ბრძოლა უკრაინული მაფიისა და ქვეყანაში არსებული რუსეთის აგენტურის წინააღმდეგ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ბახმუტთან რუსი ოკუპანტები ძალების კონცენტრაციას ცდილობენ

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ბრძოლის მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია. ყველაზე ცხელი წერტილები კვლავინდებურად ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა და უგლედარია.

ბახმუტთან რუსი ოკუპანტები ძალების კონცენტრაციას ცდილობენ. როგორც ჩანს, მზადდება ბახმუტზე შეტევა. სავარაუდოდ, ის ჩრდილოეთის მხრიდან დაიწყება. უკრაინელებმაც წინმსწრები ზომები განახორციელეს. მათ ბახმუტის ჩრდილოეთ და სამხრეთ გარეუბნებზე იერიში მიიტანეს. შედეგად მტერი თავისი პოზიციებიდან განდევნილ იქნა.

შეტევები არ წყდება სოლედართან, ავდეევკასთან, მარინკასთან. უკრაინელმა მეომრებმა რუსი ოკუპანტების შეჩერება შეძლეს. უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც ფრონტის ხაზი უცვლელია. რაც შეეხება უგლედარს, აქ რუსმა ოკუპანტებმა სერიოზული მარცხი იწვნიეს და იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. პასუხად რუსებმა დაბომბეს როგორც უგლედარი, ისე კრამატორსკი, სლავიანსკი, ბახმუტი, ავდეევკა. მიუხედავად ამისა, ალიკვეთა ოკუპანტების წინ წაწევის ყველა მცდელობა.

სიმართლეს არ შეეფერება რუსული მედიის ცნობა ბახმუტის მახლობლად, სოფელ პრასკოვიევკის აღების შესახებ. სინამდვილეში პრასკოვიევკაში ბრძოლებია. სოფლის ნახევარი უკრაინელებს უჭირავთ, ნახევარი ოკუპანტებს. ასევე სიცრუეა ცნობა ბახმუტის ალყაში მოქცევის შესახებ. ეს ბანდიტური დაჯგუფება ვაგნერის შეფმა პრიგოჟინმაც აღიარა:

– სამწუხაროდ, ბახმუტის ალყაში მოქცევა ვერ მოხერხდა. ქალაქის აღებაც უახლოეს რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ მოხერხდება, – აცხადებს პრიგოჟინი.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, იქ პოზიციური ბრძოლებია. რუსი ოკუპანტები ბომბავენ ხერსონს, ზაპოროჟიეს და სხვა დასახლებულ პუნქტებს. პასუხად უკრაინელები ახორციელებენ დარტყმებს რუსების ყაზარმებზე. შედეგად განადგურებულია ბევრი ოკუპანტი და სამხედრო ტექნიკა.


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


## სპორტი

## შედეგები

18 თებერვალი
ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-არსენალი ........ 2:4
ბრაიტონი-ფულემი ........ 0:1
ბრენტფორდი-კრ.პალასი ........ 1:1
ვულვზი-ბორნმუთი ........ 0:1
ნოტინგემი-სიტი ........ 1:1
ჩელსი-საუთჰემპტონი ........ 0:1
ევერტონი-ლიდსი ........ 1:0
ნიუკასლი-ლივერპული ........ 0:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 23 | 17 | 3 | 3 | 51-23 | 54 |
| 2.სიტი | 24 | 16 | 4 | 4 | 60-24 | 52 |
| 3.მანჩესტერი | 23 | 14 | 4 | 5 | 38-28 | 46 |
| 4.ნიუკასლი | 23 | 10 | 11 | 2 | 35-15 | 41 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 12 | 3 | 8 | 42-35 | 39 |
| 6.ფულემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-30 | 38 |
| 7.ბრაიტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-29 | 35 |
| 8.ლივერპული | 22 | 10 | 5 | 7 | 38-28 | 35 |
| 9.ბრენტფორდი | 23 | 8 | 11 | 4 | 37-30 | 35 |
| 10.ჩელსი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-23 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 23 | 8 | 4 | 11 | 28-38 | 28 |
| 12.კრ.პალასი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 13.ნოტინგემი | 23 | 6 | 7 | 10 | 18-38 | 25 |
| 14.ლესტერი | 22 | 7 | 3 | 12 | 36-38 | 24 |
| 15.ვულვზი | 23 | 6 | 5 | 12 | 17-32 | 23 |
| 16.ევერტონი | 23 | 5 | 6 | 12 | 17-30 | 21 |
| 17.ბორნმუთი | 23 | 5 | 6 | 12 | 21-44 | 21 |
| 18.ვესტ ჰემი | 22 | 5 | 5 | 12 | 19-27 | 20 |
| 19.ლიდსი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-39 | 19 |
| 20.საუთჰემპტონი | 23 | 5 | 3 | 15 | 19-40 | 18 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

მილუოლი-შეფილდი ........ 3:2
ბლექბერნი-სუონსი ........ 1:0
ბლექპული-სიტი ........ 1:0
ლუთონი-ბარნლი ........ 0:1
მიდლსბრი-ქპრ ........ 3:1
როტერჰემი-ქოვენთრი ........ 0:2
სანდერლენდი-ბრისტოლი ........ 1:1
უიგანი-ნორვიჩი ........ 0:0
ჰადერსფილდი-ბირმინგემი ........ 2:1
ჰალი-პრესტონი ........ 0:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ბაიერნი ........ 3:2
ბოხუმი-ფრაიბურგი ........ 0:2
ვოლფსბურგი-ლაიფციგი ........ 0:3
შტუტგარტი-კიოლნი ........ 3:0
აინტრახტი-ვერდერი ........ 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 12 | 7 | 2 | 61-21 | 43 |
| 2.უნიონი | 20 | 13 | 3 | 4 | 35-24 | 42 |
| 3.დორტმუნდი | 20 | 13 | 1 | 6 | 40-26 | 40 |
| 4.ფრაიბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 34-31 | 40 |
| 5.ლაიფციგი | 21 | 11 | 6 | 4 | 43-26 | 39 |
| 6.აინტრახტი | 21 | 11 | 5 | 5 | 42-29 | 38 |
| 7.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 38-29 | 30 |
| 8.გლადბახი | 21 | 8 | 5 | 8 | 38-35 | 29 |
| 9.ლევერკუზენი | 20 | 8 | 3 | 9 | 33-32 | 27 |
| 10.ვერდერი | 21 | 8 | 3 | 10 | 31-41 | 27 |
| 11.კიოლნი | 21 | 6 | 8 | 7 | 32-34 | 26 |
| 12.მაინცი | 20 | 7 | 5 | 8 | 30-32 | 26 |
| 13.აუგსბურგი | 21 | 7 | 3 | 11 | 26-36 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 4 | 7 | 10 | 26-36 | 19 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 21 | 5 | 4 | 12 | 29-40 | 19 |
| 16.ბოხუმი | 21 | 6 | 1 | 14 | 24-51 | 19 |
| 17.ჰერტა | 20 | 4 | 5 | 11 | 24-36 | 17 |
| 18.შალკე | 20 | 2 | 6 | 12 | 14-41 | 12 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-ფორტუნა ........ 2:1
მაგდებურგი-ზ.პაული ........ 1:2
რეგენსბურგი-ჰანოვერი ........ 1:1
ჰანზა-დარმშტადი ........ 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სოსიედადი-სელტა ........ 1:1
ბეტისი-ვალიადოლიდი ........ 2:1
მალიორკა-ვილიარეალი ........ 4:2
ოსასუნა-რეალი ........ 0:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 43-7 | 56 |
| 2.რეალი | 22 | 16 | 3 | 3 | 46-17 | 51 |
| 3.სოსიედადი | 22 | 13 | 4 | 5 | 32-22 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 11 | 5 | 5 | 30-17 | 38 |
| 5.ბეტისი | 22 | 11 | 4 | 7 | 29-23 | 37 |
| 6.რაიო | 21 | 9 | 6 | 6 | 28-23 | 33 |
| 7.ბილბაო | 21 | 9 | 5 | 7 | 31-22 | 32 |
| 8.მალიორკა | 22 | 9 | 4 | 9 | 20-22 | 31 |
| 9.ვილიარეალი | 22 | 9 | 4 | 9 | 24-22 | 31 |
| 10.ოსასუნა | 22 | 8 | 6 | 8 | 19-21 | 30 |
| 11.ხირონა | 22 | 7 | 6 | 9 | 33-33 | 27 |
| 12.ვალიადოლიდი | 22 | 7 | 3 | 12 | 16-30 | 24 |
| 13.სევილია | 21 | 6 | 6 | 9 | 23-29 | 24 |
| 14.სელტა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 15.ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 27-40 | 22 |
| 16.კადისი | 21 | 5 | 7 | 9 | 17-33 | 22 |
| 17.ესპანიოლი | 21 | 4 | 9 | 8 | 26-33 | 21 |
| 18.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 26-26 | 20 |
| 19.ხეტაფე | 21 | 4 | 7 | 10 | 18-28 | 19 |
| 20.ელჩე | 21 | 1 | 6 | 14 | 15-44 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-ეიბარი ........ 0:2
ლეგანესი-ლას პალმასი ........ 0:0
პონფერადინა-ლევანტე ........ 0:0
ტენერიფე-მირანდესი ........ 1:0

### იტალია. სერია ა

სამპდორია-ბოლონია ........ 1:2
მონცა-მილანი ........ 0:1
ინტერი-უდინეზე ........ 3:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 23 | 20 | 2 | 1 | 56-15 | 62 |
| 2.ინტერი | 23 | 15 | 2 | 6 | 44-27 | 47 |
| 3.მილანი | 23 | 13 | 5 | 5 | 39-30 | 44 |
| 4.ატალანტა | 22 | 12 | 5 | 5 | 41-24 | 41 |
| 5.რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 29-19 | 41 |
| 6.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 37-19 | 39 |
| 7.ბოლონია | 23 | 9 | 5 | 9 | 30-33 | 32 |
| 8.ტორინო | 22 | 8 | 6 | 8 | 22-23 | 30 |
| 9.უდინეზე | 23 | 7 | 9 | 7 | 31-28 | 30 |
| 10.მონცა | 23 | 8 | 5 | 10 | 28-31 | 29 |
| 11.იუვენტუსი | 22 | 13 | 5 | 4 | 34-17 | 29 |
| 12.ემპოლი | 22 | 6 | 9 | 7 | 21-28 | 27 |
| 13.ფიორენტინა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-29 | 24 |
| 14.სასუოლო | 23 | 6 | 6 | 11 | 26-35 | 24 |
| 15.ლეჩე | 22 | 5 | 9 | 8 | 22-25 | 24 |
| 16.სალერნიტანა | 22 | 5 | 6 | 11 | 25-42 | 21 |
| 17.სპეცია | 22 | 4 | 7 | 11 | 19-37 | 19 |
| 18.ვერონა | 22 | 4 | 5 | 13 | 20-33 | 17 |
| 19.სამპდორია | 23 | 2 | 5 | 16 | 11-38 | 11 |
| 20.კრემონეზე | 22 | 0 | 8 | 14 | 15-40 | 8 |

**შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა**

### იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ბრეშა ........ 1:0
კოზენცა-ზიუდტიროლი ........ 0:0
პალერმო-ფროზინონე ........ 1:1
პარმა-ასკოლი ........ 0:1
სპალი-კომო ........ 1:1
ჩიტადელა-რეჯინა ........ 3:2
ბარი-კალიარი ........ 1:1
პერუჯა-ტერნანა ........ 3:0

### საფრანგეთი. ლიგა 1

ნიცა-რეიმსი ........ 0:0
სტრასბური-ანჟე ........ 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 17 | 3 | 3 | 55-20 | 54 |
| 2.მარსელი | 23 | 15 | 4 | 4 | 45-20 | 49 |
| 3.მონაკო | 23 | 14 | 5 | 4 | 51-30 | 47 |
| 4.ლანსი | 23 | 13 | 7 | 3 | 35-18 | 46 |
| 5.ლილი | 23 | 12 | 5 | 6 | 40-27 | 41 |
| 6.რენი | 23 | 12 | 4 | 7 | 42-28 | 40 |
| 7.ნიცა | 24 | 10 | 8 | 6 | 30-21 | 38 |
| 8.ლორიანი | 23 | 10 | 6 | 7 | 35-35 | 36 |
| 9.ლიონი | 24 | 10 | 5 | 9 | 36-27 | 35 |
| 10.რეიმსი | 24 | 7 | 13 | 4 | 30-26 | 34 |
| 11.ტულუზა | 23 | 9 | 5 | 9 | 39-39 | 32 |
| 12.კლერმონი | 23 | 8 | 6 | 9 | 24-31 | 30 |
| 13.ნანტი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-26 | 28 |
| 14.მონპელიე | 23 | 7 | 2 | 14 | 34-45 | 23 |
| 15.სტრასბური | 24 | 4 | 9 | 11 | 29-42 | 21 |
| 16.ბრესტი | 23 | 4 | 8 | 11 | 24-38 | 20 |
| 17.ტრუა | 23 | 4 | 7 | 12 | 33-52 | 19 |
| 18.აიაჩო | 23 | 5 | 3 | 15 | 18-42 | 18 |
| 19.ოსერი | 24 | 4 | 6 | 14 | 21-48 | 18 |
| 20.ანჟე | 24 | 2 | 4 | 18 | 20-50 | 10 |

### საფრანგეთი, ლიგა 2

ბორდო-პარიზი ........ 2:1
ანსი-ამიენი ........ 2:0
ლე ავრი-ნიორი ........ 1:0
დიჟონი-მეცი ........ 0:0
კაენი-გრენობლი ........ 2:1
კევიი-სოშო ........ 0:0
პო-ლავალი ........ 0:1
ბასტია-გენგამი ........ 1:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ვოლენდამი-ვიტესი ........ 2:0
გრონინგენი-ემენი ........ 1:1
ფეინოორდი-ალკმაარი ........ 2:1

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმონენშე-მარიტიმუ ........ 2:1
ეშტორილი-ფერეირა ........ 1:3
პორტუ-რიუ ავე ........ 1:0

### ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-ეუპენი ........ 2:0
ოსტენდე-შარლერუა ........ 0:0
სერენი-ვარეგემი ........ 1:1
სენ ჟილუა-სტანდარდი ........ 2:4

### ავსტრია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-ვოლფსბერგერი ........ 0:3
რიდი-ლინცერი ........ 1:1
ჰარტბერგი-შტურმი ........ 1:2

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-სტ.ჯონსონი ........ 1:2
ლივინგსტონი-რეინჯერსი ........ 0:3
სელტიკი-აბერდინი ........ 4:0
სტ.მირენი-როსი ........ 1:0
ჰიბერნიანი-კილმანროკი ........ 2:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-ვოლოსი ........ 2:0
ასტერასი-იანინა ........ 1:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

ვინეთენთური-სიონი ........ 1:1
იანგ ბოიზი-ლუგანო ........ 1:1

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ჰრადეც კრალოვე-ბოლესლავი ........ 0:1
ბრნო-ბანიკი ........ 2:1
ლიბერეცი-სიგმა ........ 2:2
ტეპლიცე-სლავია ........ 1:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-ლეხია ........ 1:0
ჩენსტოხოვა-გურნიკი ........ 2:0
პოგონი-ვარტა ........ 3:1

# საქართველო ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა

## ესპანეთი-საქართველო 3:41

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანეთს ტორელავეგაში 7 უპასუხო ლელო გაუტანა, 41:3 დაამარცხა და ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა. ეს ნიშნავს, რომ 4 ან 5 მარტს, ნახევარფინალურ შეხვედრას საკუთარი ქომაგის წინაშე გამართავს.

ვინ იქნება საქართველოს მეტოქე, გუშინ, გვიან ლისაბონში გაირკვეოდა. ბ ჯგუფის ლიდერები პორტუგალია და რუმინეთი ერთმანეთს პირველობისთვის შეერკინებოდნენ და დამარცხებულ გუნდს ჩამოსვლა საქართველოში მოუწევს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ პორტუგალია-რუმინეთის მატჩის ქართველი რეფერი, ნიკა ამაშუკელი იყო.

ესპანეთთან დიდი სხვაობით გამარჯვება სხვა კუთხითაც არის საინტერესო. უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს განახლებულ რეიტინგში საქართველო იტალიას გადაასწრებს და მე-12 პოზიციას დაიბრუნებს. „ბორჯღალოსნებს" ამისათვის 15 ქულის სხვაობით მოგება სჭირდებოდათ, გეგმა კი გადაჭარბებით შესრულდა.

ლევან მაისაშვილის შეგირდები ესპანეთს ყველაფერში ჯაბნიდნენ. მათ მიმდინარე რაგბი ევროპის ჩემპიონატზე, ჯერჯერობით, საუკეთესო თამაში აჩვენეს და შედეგიც სახეზეა. 7 ლელო გაიტანეს და ერთადერთი, რაზეც შეიძლება გული დაგვწყდეს, დისციპლინაა – ბორჯღალოსნები ხშირად ჯარიმდებოდნენ და ერთი კვირის წინანდლის მსგავსად, ახლაც სამი ყვითელი ბარათი მიიღეს.

პირველმა ტაიმმა საქართველოს სრული დომინაციით ჩაიარა და 40 წუთში სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. მართალია ანგარიშის გახსნის პირველი შანსი მასპინძლებმა მიიღეს, მაგრამ გონსალო ვინუესას დარტყმა გაუცუდდა. პასუხად ბორჯღალოსნებმა სწრაფად, ხელდახელ შეუტიეს და ლამაზი ლელო გაიტანეს. ეპიზოდი ბექა გიგაშვილის რაქიდან ბურთის ამოღებით დაიწყო, მარცხენა ფრთაზე სანდრო თოდუა გაიქცა, კარგად იმუშავა მიყოლამ, თედო აბჟანდაძემ ესპანელთა მოშიშვლებული ზურგი



შენიშნა და ოვალი ფეხით 22-ი მარჯვენა ფრთაზე გადაკიდა, სადაც აკა ტაბუცაძემ ყველას დაასწრო და ლელო გაიტანა.

ესპანელებმა შორეული ჯარიმით მალევე გვიპასუხეს, მაგრამ თამაში რომ განახლდა, პირველი ბურთი მოვიპოვეთ, სწრაფი რაქების შემდეგ მარჯვენა ფრთაზე სივრცე გაჩნდა, სადაც ტაბუცაძე კიდევ ერთხელ გაიქცა და 24-ე სანაკრებო ლელო გაიტანა. ამით ის ირაკლი მაჩხანელს გაუტოლდა და მასთან მე-3-4 ადგილებს იყოფს, წინ კი მხოლოდ დავით კაჭარავა (25) და მამუკა გორგოძე (27) ყავს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ 25 წლის ტაბუცაძემ 24 ლელო 26 თამაშში გაიტანა, რაც ფანტასტიური შედეგია.

ესპანელებს მალე კიდევ ერთი ჯარიმა გაუცუდდათ, ტაიმის შუაში კი, ვასილ ლობჟანიძემ მეტოქის 22-ში სწრაფად გაითამაშა ჯარიმა, თავად შეუტია და ლელოშიც შევიდა, მაგრამ მსაჯმა დამიწება ვერ დააფიქსირა. მესამე ლელო მაინც გავიდა. 24-ე წუთზე 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი გიგაშვილის 5 ქულით დასრულდა. ამის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და გააფთრებით შემოგვიტიეს, მაგრამ დაცვა მაგრად დადგა, 37-ე წუთზე კი, ლობჟანიძემ დავით ნინიაშვილი ორ მცველს შორის შეიყვანა, ის ფეხზე დარჩა და ლელოში ბურთი აბჟანდაძეს შეაყოლა, რომელმაც კარის წინიდან გარდასახვაც ზუსტად შეასრულა – 22:3.

მეორე ტაიმი 8 წუთის დაწყებული იყო, როდესაც გიორგი კვესელაძის კარგი შეტევა ნინიაშვილმა გააგრძელა და დაფარული პასით სისწრაფეში შესულ მერაბ შარიქაძეს გაუკეთა. დისკვალიფიკაციიდან დაბრუნებულმა კაპიტანმა ხაზი სუფთად გაჭრა და მასპინძლებს მეხუთე ლელო გაუტანა, აბჟანდაძემ მეორე ზუსტი გარდასახვა შეასრულა.

მალე პირველად დავრჩით კაცნაკლულები – შალვა მამუკაშვილმა მაღალი ბოჭვისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. ამას შეცვლებიც მოყვა და 64-ე წუთამდე ანგარიში უცვლელი დარჩა. მერე შერკინებიდან გამოსული ბურთი გელა აფრასიძემ მეტოქის ზურგში ფეხით გადაკიდა, მას თოდუა დაეუფლა და ლელო გაიტანა, ლუკა მატკავას გარდასახვა კი ძელმა აისხლიტა. 4 წუთში ნინიაშვილმა შეუტია კარგად, ბოჭვის შემდეგ ბურთი სწრაფად გაათავისუფლა, მერე თავადვე აიტაცა და ლელო მორკინალის სტილში გაიტანა, მატკავას გარდასახვა ამჯერად ზუსტი იყო.

აფრასიძის სინბინის შემდეგ, მოედანი მცირედი დაზიანების გამო შარიქაძემაც დატოვა, მაგრამ 13-მა ბორჯღალოსანმა მაინც შეძლო შედეგიანი შეტევის განხორციელება. მატკავას ფინტებს ოფლოუდების სერია მოყვა და თოდუამ თავისი მეორე ლელო გაიფორმა. აქ საქმეში გვერდითი მსაჯი ჩაერთო, რომელმაც რეფერის მოედნის ცენტრში დარღვევა უკარნახა და მანაც სერგო აბრამიშვილს ყვითელი ბარათი აჩვენა, ლელო კი გააუქმა. მაგრამ საქართველომ ლელოს გაშვება არც 12 კაცით ისურვა, ესპანელთა ბოლო მიძალება მოიგერია და 41:3 გამარჯვებით, რუმინეთს ან პორტუგალიას თბილისში ვიზიტი გაუფორმა.

# ძიუდოისტთა ორი ოქრო და გუნდური პირველი ადგილი



თელ ავივის გრანდ სლემი ქართველმა ძიუდოისტებმა 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლით დაასრულეს.

ორი მედალი 66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ავიღეთ: ვაჟა მარგველაშვილი ოქროსკენ მიმავალ გზას იტალიელი ფაბიო ბაზილეს დაიპონებით შეუყვა, ვისაც გერმანელ ლენარტ სლამბერგერი, ბულგარელი იანისლავ გერჩევი და ესპანელ ალბერტო გაიტერო მარტინი მიაყოლა და ფინალში გავიდა. ოქროსთვის ბრძოლაში ჩვენებური აზერბაიჯანელ ორხან საფაროვთან ვაზარით კი აგებდა, მაგრამ ძირითად დროშივე გაათანაბრა, ხოლო დამატებითში მეტოქე კიდევ ერთხელ დააგდო და ჩემპიონიც გახდა.

ქართული ფინალი სწორედ საფაროვმა წაგვართვა, ვისთანაც ნახევარფინალი ლაშა ნადირაძემ წააგო. არადა, მანამდე მაგრად იჭიდავა: საწყის ეტაპზე გერმანელი მარტინ სეტცი 20 წამში „გაგუდა", შემდეგ დამატებით დროშვაგზაფრთხილებებით ეკვადორელ ლენინ პრესიადოს აჯობა, ხოლო მეოთხედფინალში მასპინძელი ბარუხ შმაილოვი მტკივნეული ილეთით დაამარცხა. ნადირაძე ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაშიც მასპინძელს დაეჭიდა. ტალ ფლიკერთან ჭიდაობამ 10 წუთი გასტანა და ქართველმა მეტოქე მსაჯებიანად დაამარცხა.

მეორე ოქრო საქართველოს დელეგაციას ბექა ღვინიაშვილმა შემატა. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ღვინიაშვილი ბულგარელი ივაილო ივანოვის დაიპონებით შეუყვა, ვისაც უკრაინელი არტიომ ბაბირი, მონღოლი ალტანბაგანა განტულგა და აზერბაიჯანელი მამადალი მეჰდიევი მიაყოლა, რაც ფინალში გასვლის ტოლფასი იყო.

ტიტულისთვის ჩვენებური უნგრელ კრისტიან ტოტს დაეჭიდა. ბექამ ჯერ ვაზარი აართვა მეტოქეს, შემდეგ კი, სულაც იპონზე დააგდო.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილიც დაი-

# შენგელია და შერმადინი ფინალებს ითამაშებენ

საქართველოს ნაკრებში ჩამოსვლამდე ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი თორნიკე შენგელია და ცენტრი გიორგი შერმადინი იტალიისა და ესპანეთის თასის ფინალებში ითამაშებენ.



შენგელიას ვირტუსმა, იტალიის თასის ნახევარფინალში ძალიან იოლად, ტორტონა (90:65) 25-ქულიანი სხვაობით დაამარცხა და ფინალში გავიდა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე 19 წუთი გაატარა, რა დროშიც გუნდს 18 ქულით, 2 მოხსნითა და 3 პასით დაეხმარა. თოკოზე მეტი მხოლოდ მარკო ბელინელიმ ჩააგდო – 36 წლის ვეტერანის ანგარიშზე 20 ქულაა.

ფინალში ვირტუსის მეტოქე ბრეშაა, რომელმაც ნახევარფინალში პეზაროს სძლია.

შენგელიას გუნდს იტალიის თასი 8-ჯერ აქვს მოგებული. თუმცა, ბოლო 2002 წელს იყო.

აი, გიორგი შერმადინი და მისი გუნდი საოცრებებს სჩადიან. ნახევარფინალურ მატჩში, რომლის მვპ ქართველი ცენტრი გახდა, ლენოვო ტენერიფემ დრამატულ ბრძოლაში, 1 ქულის სხვაობით, 73:72 დაამარცხა ტურნირის მასპინძელი ხუვენტუდი და სატიტულო მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ქართველი ცენტრი ამ დრამატული მატჩის მვპ გახდა. გიორგიმ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 33:04 წუთში 12 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 2 დაფარება მიითვალა. მან 6-დან 3 ორქულიანი და 9-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. სარგებლიანობის კოეფიციენტით (19) ის გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო.

ქართველ ცენტრს, რომელსაც ესპანეთის ლიგაში უამრავი უმაღლესი პირადი პრიზი აქვს, გუნდური ტიტული – ჩემპიონობა და თასი – არასდროს მოუგია. შერმადინი ამჯერად ძალიან ახლოსაა ესპანეთის სამეფო თასის მოგებასთან. რატომ? ფინალში ტენერიფეს მეტოქე შერმადინის ყოფილი გუნდი, მალაგის უნიკახა იქნება, რომელმაც გზად ჯერ ბარსელონა, შემდეგ კი, მადრიდის რეალი ჩამოიშორა. თუმცა, ფავორიტად ტენერიფელები მიიჩნევიან.

# ილიას ზუროსმა შეკრება არასრული შემადგენლობით დაიწყო

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები თბილისში არასრული შემადგენლობით შეიკრიბა და მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადება დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ ილიას ზუროსის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები 23 თებერვალს ალმერეში ნიდერლანდების ნაკრებს შეხვდება, ხოლო საკვალიფიკაციოს დასკვნით მატჩში თბილისში ისლანდიას დაუპირისპირდება. ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები არსებობის ისტორიაში პირველად გავა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც მომავალ აგვისტო-სექტემბერში სამი აზიური ქვეყანა – იაპონია, ფილიპინები და ინდონეზია უმასპინძლებს.

პირველ დღეს თბილისი არენაზე ნაკრებში გამოძახებული 14 მოთამაშიდან 8 იმყოფებოდა – გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, გივი ბაქრაძე, კახა ჯინჭარაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ბექა ბექაური და ილია ლონდარიძე. ილიას ზუროსის გადაწყვეტილებით, ნაკრების ვარჯიშზე დაუძახეს სუპერლიგაში მოთამაშე ორ ყოჩაღ ახალგაზრდა კალათბურთელსაც – რუსთაველ გუგა პატაშურს და კავკასიელ ნიკოლოზ გაფრინდაშვილს.

მოგვიანებით თბილისში ჩამოვიდნენ დუდა სანაძე და გიორგი კორსანტია. ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია, ისევე, როგორც ბექა ბურჯანაძე და ესპანურ ლიგაში მოთამაშე გიორგი შერმადინი და თად მაკფადენი, ეროვნულ გუნდს ალმერეში შეუერთდებიან.

ვარჯიშს რაც შეეხება, ილიას ზუროსმა ასისტენტებთან – ანატოლი ბოისასა და გეორგიოს ლიმნიატისთან ერთად მოთამაშეები ნაკრებში აპრობირებულ კომბინაციების დამუშავებაზე ავარჯიშა. საქართველოს ნაკრები არასრული შემადგენლობით დღეს გამთენიისას ნიდერლანდებში გაემგზავრა, სადაც სრული შემადგენლობით ვარჯიშსა და მზადებას 23 თებერვლის მატჩისთვის გააგრძელებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შექსპირის ტრაგედია; 2. ერთწლიანი მარცვლეული კულტურა; 3. მთიანეთი ავღანეთში; 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. მილების სისტემის მქონე დიდი ზომის კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პირველი გერმანული ოპერა; 10. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 14. დამუხტული ელექტრონული ნაწილაკების ამაჩქარებელი დანადგარი; 15. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 19. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. მთიანეთი აფრიკაში.

**თარაზულად:** 6. კოსმეტიკურ საშუალებათა ერთობლიობა; 7. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 8. ესპანური ავიაკომპანია; 11. ზღვის სიღრმეში მოპოვებული წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 12. ბალეტ „გედების ტბის" პერსონაჟი; 13. გემრიელი საჭმელების მცოდნე, მოყვარული ადამიანი; 17. იტალიის ეროვნული გმირი; 18. ეკლესიის მნათეს ძველი ქართული სახელწოდება; 22. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 23. სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ჭურჭელი; 24. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 25. ძველბერძენი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მურილიო; 2. ალილო; 3. ცილინდრი; 4. უოტსონი; 5. გარპაგონი; 9. ახტალა; 12. დუაიენი; 14. კოპალა; 15. პუმა; 17. კილტი; 18. არფა.

**თარაზულად:** 6. ჯულელი; 7. ვიქტორია; 8. დიზელი; 10. ტონგა; 11. კომუტატორი; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. პანდემია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბერინგი; 2. პაროდია; 3. პისტოლეტი; 4. კაიაკი; 5. არმაზი; 9. კრეტა; 10. ორგამი; 14. მიზანთროპი; 15. საქსაფონი; 16. ინკები; 19. გუდვილი; 20. ფეიხოა; 21. ალვირი.

**თარაზულად:** 6. რესტავრაცია; 7. გუდაური; 8. ჰიტროუ; 11. იროკეზი; 12. დიდრო; 13. ვერმუტი; 17. პარანომია; 18. პენტჰაუზი; 22. ვეჯვუდი; 23. ბაღდათი; 24. პლომბირი; 25. ჩიქობავა.

# სამგლოვიარო განცხადებები

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ლინა დათუნაშვილს შვილის

**კოტე დათუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

*თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6386 | ევრო — 2.8077 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1513 | 100 რუსული რუბლი — 3.0354 |

## ამინდის პროგნოზი 20 თებერვლისათვის




## იურგენ კლოპი: „რეალთან სათამაშოდ მზად ვართ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისი გუნდი რეალთან სათამაშოდ მზად არის და ნიუკასლთან მატჩში ეს კარგად გამოჩნდა. ლივერპულმა ნიუკასლი 2:0 დაამარცხა: „თითქმის იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. რეალთან თამაშზე უკვე ვფიქრობთ და, შესაბამისად, ვემზადებით. გამარჯვება შეგვიძლია“.

## ვინიციუსი: „ოსასუნასთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“



მადრიდის რეალმა სტუმრად ოსასუნა დაამარცხა 2:0 და პირველი გოლი 78-ე წუთზე ვინიციუსმა გაიტანა, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ ეს შეხვედრა რეალისთვის მნიშვნელოვანი იყო და ამ გამარჯვების შემდეგ რეალი თავდაჯერებულობას დაიბრუნებს: „მეტოქემ პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ ჩვენ გამარჯვების გვჯეროდა და მიხარია, რომ 3 ქულა მოვიპოვეთ. ჩემპიონობისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია“.

## არტეტა: „არსენალს ჩემპიონობა შეუძლია“

არსენალმა მძიმე ბრძოლაში სტუმრად ასტონ ვილა დაამარცხა და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ მიკელ არტეტას გუნდმა გამარჯვება ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით შეძლო და არტეტას თქმით, სწორედ ასეთ მატჩებში წყდება ჩემპიონობის ბედი: „ყველა თამაში ფინალის ტოლფასია და მიხარია, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ. გუნდმა ხასიათი გამოავლინა და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ვასო ჩიგოგიძის 70 წლის იუბილე წიგნის პრეზენტაციით აღინიშნა

რეჟისორ ვასო ჩიგოგიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. რუსთაველის ეროვნულ თეატრში წიგნ-ალბომის „დონ კიხოტი ოზურგეთიდან“ წარდგენა მოეწყო. გამოცემა იუბილარი ხელოვანის შემოქმედებით და ბიოგრაფიულ მოვლენებსა და მის მოგონებებს აერთიანებს. წიგნს განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ვასო ჩიგოგიძისა და გამორჩეული პერსონაჟის, დონ კიხოტის, დაკავშირება, მათი საერთო პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. ალბომი ორენოვანია – ქართულ-ინგლისური და მასზე მკვლევარ-კრიტიკოსი ლაშა ჩხარტიშვილი და დიზაინერი ირინა აბჟანდაძე მუშაობდნენ.

წიგნი მოგვითხრობს როგორც ვასო ჩიგოგიძის, ასევე გურიის ისტორიის შესახებაც, ასახავს გურულების ცხოვრებას, დაწყებული გურული მოჯირითეებით ამერიკაში, დღევანდელი დღით დასრულებული. რეჟისორის ცხოვრება მთლიანად 155-წლიანი ისტორიის მქონე ოზურგეთის თეატრს უკავშირდება. იგი ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ვასო ჩიგოგიძე ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გურია-სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონის განყოფილების თავმჯდომარეცაა.

იუბილარ რეჟისორს მოღვაწეობის მანძილზე მიღებული აქვს არაერთი წოდება, ჯილდო და პრემია. იგი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქართული თეატრის დესპანი, ვარსკვლავოსანი, ღირსების ორდენის კავალერი, ალექსანდრე წუწუნავას, დიმიტრი ალექსიძისა და გიზო ჟორდანიას ჯილდოების მფლობელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

შვილი კულინარიულ სასწავლებელში სწავლობს. დედა ეკითხება:

– შვილო, თქვენ მიერ მომზადებული კერძების გასინჯვის უფლებას თუ გაძლევენ?

– გვაიძულებენ.

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ძვირფასო, შენ გულში ჩემთვის ადგილი მოიძებნება?

– უამრავი ქალი დატეულა და შენც დაეტევი.

•••

შვილი დედას ეუბნება:

– დედა, მამას სურათი მინდა!

– მამიკოს სურათი რაში გჭირდება?

– უბრალოდ, მასწავლებელმა მთხოვა ვანახო, თუ რომელმა სულელმა შეასრულა ჩემი საშინაო დავალება.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, იმიტომ უნდა ვისწავლო იურიდიულზე, რომ ყველა კანონი დავიცვა?

– არა, შვილო, ჭკვიანურად გვერდი რომ აუარო!

•••

ჰოლივუდის მსახიობი ქალი სარკის წინ ჩაფიქრებული ტრიალებს და საკუთარ თავს ეუბნება:

– კიდევ რა შეიძლება გავიხადო? თორემ უკვე მესამე დღეა ჩემზე სექსუალურ ზეწოლას არავინ ახდენს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მერაბ სეფაშვილმა კონცერტი გააუქმა



მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა „ოტიუმში“ დაგეგმილი კონცერტი გააუქმა. ამის მიზეზი ორგანიზატორების მხრიდან პირობების შეუსრულებლობა გახდა.

მომღერალმა სპეციალური ვიდეო მიმართვა ინტერნეტით გაავრცელა და აღნიშნა, რომ პირობები, რომლებიც უნდა შესრულებულიყო, დაკმაყოფილებული არ არის.

მერაბ სეფაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მის კონცერტზე დასასწრები ბილეთი შეიძინა და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში მათ აუცილებლად შეხვდება.

## გიორგი ნაზღაიძე რადიოწამყვანი გახდა




რეალური შოუ „პრაიმ ჰაუსის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა გიორგი ნაზღაიძემ ჯერ ტელეწამყვანობა, ახლა კი რადიოწამყვანობაც დაიწყო.

პარასკევობით გიორგი საინტერესო სტუმრებთან ერთად რადიომსმენელს რადიო „აფხაზეთის ხმაზე“ ყველაზე ყვითელი გადაცემით შეხვდება. რადიოში მის მოსმენასთან ერთად, ფეისბუქ ლაივში ყურებაც იქნება შესაძლებელი.

## ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჭერი ჩამოინგრა



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჭერი ჩამოინგრა. ქალაქის შუაგულში, ინგოროყვას 8 ნომერში მდებარე უძველესი შენობა დიდი ხანია ავარიულია. საბედნიეროდ, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

– თბილისის ცენტრში, ინგოროყვას 8 ნომერში მდებარე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ ოთახში კედლიდან უზარმაზარი ლოდი ჩამოვარდა. ბედად იქ არავინ იმყოფებოდა და მსხვერპლი არ ყოფილა. ინსტიტუტის შენობის მწვავედ ავარიულობა გარედანაც კი იოლი დასანახია, მაგრამ 20 წელზე მეტია ვერავინ ხედავს, – განაცხადა თეიმურაზ გვანცელაძემ.

**გიორგი ლობჟანიძე, პოეტი:**

– ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჭერი ჩამოვარდნილა, იმხელა ლოდი დაცემულა ბატონი გიორგი გოგოლაშვილის კაბინეტში, კიდევ კარგი, იქ არ ბრძანებულა! გავიგე ეს ამბავი, როგორც სიახლე და გულგახეთქილი ვეცი ტელეფონს, იქ მომუშავე მეგობარს დავურეკე. რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ, ხალხნო?! რა დღეშია ქართული ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობა!

## თინა დათიკაშვილი და ლიკა სირაძე დააჯილდოვეს



„ვოისის“ მონაწილე მომღერლები თინა დათიკაშვილი და ლიკა სირაძე დააჯილდოვეს.

მსოფლიოში კიბოსთან ბრძოლის ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის დამაარსებელმა კახა ჯანაშვილმა მომღერლები ფონდის კეთილი ნების ელჩებად დაასახელა და სიმბოლური ჯილდო გადასცა.

**თინა დათიკაშვილი:**

– მსოფლიოში კიბოსთან ბრძოლის ბავშვთა საერთაშორისო დღეს „დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის“ დამაარსებელმა და დირექტორმა კახა ჯანაშვილმა მე და ლიკა დაგვაჯილდოვა ფონდის „კეთილი ნების ელჩებად“. უღრმესი მადლობა მას, რომ გვარგუნა ეს ტიტული და ამით გამოგვიცხადა ნდობა და სიყვარული. მიყვარხართ და ვამაყობ, რომ უკვე 10 წელია ამ სიკეთეს სრულიად უსასყიდლოდ აკეთებთ თქვენ და თქვენი გუნდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში წილად მხვდა ამხელა პასუხისმგებლობა და შემიძლია ცოტათი მაინც შევიტანო წვლილი იმ პაწაწინა ადამიანების გამოჯანმრთელებაში თქვენთან ერთად. ძალიან გთხოვთ, ვინც ჩემთან ხართ და მგულშემატკივრობთ, ვისაც 1 ზარი მაინც გაგიმეტებიათ ჩემთვის პროექტის პერიოდში, დაუდექით მხარში პატარებს, თუნდაც 1 ლარით და ერთად გადავარჩინოთ მათი მომავალი. თქვენი იმედი მაქვს.

„დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდი“ ლეიკემიითა და სოლიდური სიმსივნეებით დაავადებულ ბავშვებზე ზრუნვისთვის შეიქმნა. ორგანიზაცია, ამ დრომდე, უკვე 600-მდე ბავშვს, ჯამურად, 3 მილიონამდე ლარით დაეხმარა. ეს თანხა კი, სწორედ თქვენი მსგავსი, კეთილი და მზრუნველი ადამიანების მონაწილეობით შეგროვდა. თუ გინდათ, ბავშვების სიცოცხლეზე იზრუნოთ და მათ გადარჩენაში თქვენი წვლილი შეიტანოთ, გადარიცხეთ თუნდაც მცირედი თანხა „დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდში“. ბრძოლა 10 წელია გრძელდება და გაგრძელდება სიცოცხლისათვის კვლავაც თქვენი თანადგომის იმედით.

## სესილი სივსივაძემ საერთაშორისო კონკურსზე 3 მედალი მოიპოვა



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ საფორტეპიანო განყოფილების IV კლასის მოსწავლემ სესილი სივსივაძემ სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე სამ სხვადასხვა კატეგორიაში პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ნანა ახობაძის მოსწავლემ სამი სიგელი და სამი მედალი დაიმსახურა.

## ასტროპროგნოზი



### 20 თებერვლისათვის

**ვერძი** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. რისკი გაუმართლებელია. **კურო** – თქვენს ყოველ მოქმედებას პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით ზედაპირული. გულგრილობა, პირველ რიგში, თქვენვე დაგაზარალებთ. სხვისი გავლენის ქვეშ არ მოექცეთ. **კირჩხიბი** – შეხვედრებისა და კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. მეგობრების ღირსებები სათანადოდ დააფასეთ. **ლომი** – ნურაფერს დაგეგმავთ. დაუმთავრებელ საქმეებს მიხედეთ. კრიტიკაზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. ხალხმრავლობაში ყოფნა არასასურველია. **სასწორი** – სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. **ღრიანკალი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გეძაბებათ. შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მაქსიმალური თავშეკავებაა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხმაურიან საზოგადოებას. მოვლენებისადმი არასერიოზული მიდგომა თქვენს ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედებს. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ ჩვეული საქმით დაკავდით. ნუ გარისკავთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად შეუფერებელი პერიოდია. **მერწყული** – ემოციურ აღმავლობას განიცდით. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურად დაისვენებთ. **თევზები** – იყავით ქველმოქმედი. თუ შესაძლებლობა გაქვთ, დაეხმარეთ ადამიანებს. გელით კარიერული წინსვლა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარეთა სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 12. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 14. შამფურზე შესაწვავად ასაგები ხორცის ნაჭრები; 15. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 17. ხიდის საყრდენი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. ყვავილის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის გამომგონებელი ინგლისელი ექიმი; 7. პირველი კოსმონავტი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. შვედური საავტომობილო კომპანია; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ჩქარი მატარებელი; 16. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 20. თავშეყრის ადგილი სოფლად საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

